

825
1984

1.3



ეროვნული
ბიბლიოთეკა

გუგაბი

ქართული პოლიტიკის პერიოდული ორგანო უცხოეთში

პარიზი

№ 2

PARIS

ივლისი

1984

JUILLET

დიდება 26 მაისის საქართველოს



„თავისუფლებავ, შენ ხარ კაცთა ნავსაყუდარი,
შენ ხარ ჩაგრულის, წამებულის წმინდა საყდარი,
შენ ხარ მშვიდობა და სიმართლე ამა ქვეყნისა,
შენ ხარ აღმზრდელი ღვთაებამდე კაცთ ბუნებისა!“—ილია

დიდება

დიდება ზეცით კურთხეულს,
დიდება ქვეყნად სამოთხეს
ტურფა ივერსა!

დიდება ძმობა-ერთობას,
დიდება თავისუფლებას,
დიდება სამაჰრადისოდ
ქართველ მხნეებსა!

დიდება ჩვენსა სამშობლოს,
დიდება ჩვენი სიცოცხლის
მიზანს დიადსა!

ვაშა ტრობასა-სიყვარულს,
ვაშა შვებასა-სიხარულს,
სალამი ქეშმარიტების
შუქ-განთიადსა!

მუსიკა: კოტე ფოცხვერაშვილი

„გუშაგი“ (ყოფილი „თავისუფლების ტრიბუნა“)
გამოცემის პასუხისმგებელი: გიორგი წერეთელი.



ჩვენ ეროვნული დღესასწაულებრივი

26 მაისს 66 წელი შესრულდა ჩვენი სამშობლოს დამოუკიდებლობის გამოცხადებიდან.

ყველა ცივილიზებულ ერს აქვს არჩეული ერთი დღე და იმ დღეს ყველწლიურად ზეიმობს ეროვნულ ერთობას, სოლიდარობას და მიზანდასახულობას. როგორც წესი, სხვადასხვა ერთა ეროვნულ დღესასწაულებს საფუძვლად უდევთ რაიმე მთელი ერისთვის საერთო ღირსშესანიშნავი ისტორიული მოვლენა. ასე მაგალითად, საფრანგეთის ეროვნული დღესასწაულია „კატორზ ევიე“ (14 ივლისი) და იგი მოგვგაგონებს 1789 წლის 14 ივლისს, როცა აჯანყებულმა პარიზელებმა ბასტილიის ციხე აიღეს. ეს დღესასწაული სიმბოლიურად ხაზს უსვამს მონარქიული რეჟიმის დამხობას და რესპუბლიკურის გამარჯვებას. ცხადია, ეს დღესასწაული პოლიტიკური ხასიათისაა. ასეთივე პოლიტიკური, კიდევ მეტი, პარტიზანული ხასიათისაა საბჭოთა კავშირის მიერ ძველი სტილით 25 ოქტომბრის ყველწლიური ზეიმობა, რომელიც აღნიშნავს რუსეთის დემოკრატიული რეჟიმის შეთქმულთა აჯანყებით დამხობას და ბოლშევიკური პარტიის დიქტატურის გამარჯვებას 1917 წლის 25 ოქტომბერს.

სულ სხვა რამ უდევს სარჩულად ამერიკის შ. შტ - ის ეროვნულ დღესასწაულს: 1776 წელს 4 ივლისს ფილადელფიაში შეკრებილმა კონგრესმა დაამტკიცა ამერიკის შ. შტ - ის „დამოუკიდებლობის დეკლარაცია.“ და მას შემდეგ ეს დღე იქცა ამ ქვეყნის ეროვნულ დღესასწაულად.

ჩვენი ეროვნული დღესასწაული ამ მხრით ამერიკის ეროვნულ დღესასწაულს უფრო ენათესავება. ჩვენიც ხომ სათავეს იღებს დამოუკიდებლობის გამოცხადებიდან. 1801 წლიდან მოყოლებული რუსეთმა მოსპო ქართული ფეოდალური სახელმწიფოები: ქართლ-კახეთისა, იმერეთისა, გურიისა, სამეგრელო-სვანეთისა და აფხაზეთისა და ქართველი ხალხის ზღვა სისხლის ფასად უხსოვარ დროიდან კუთვნილი მიწა-წყალი რუსეთის იმპერიის ორ გუბერნიად გვიქციეს. ქართლოსიანთა მოდგმამ წარმატებით გაუძლო 117 წლის განმავლობაში წარმოებულ უმკაცრეს გარუსების პოლიტიკას და უცდიდა შესაფერ მომენტს ძალით მოტაცებული ეროვნული სუვე-

Handwritten notes and stamps at the bottom left of the page.



რენობის აღსადგენად. ასეთი მომენტი გახდა 1918 წლის 26 მაისი და ეს თარიღი საფუძვლად უდევს საქართველოს დღესასწაულს.

რომ დამოუკიდებლობის გამოცხადება იყო საჭირო და დადებითი ეროვნული აქტი, ამაზე დღეს არც ერთი კვლამიერი ქართველი აღარ დაობს. თვით კომუნისტებიც კი იძულებული არიან ან მიჩქმალონ და სულ არ ახსენონ, ანდა მისი დამსახურება „ოქტომბრის დიდ რევოლუციას“ მიაწერონ. კომუნისტების ამ მასხარა განცხადებაშიც არის სიმართლის ნამცეცი. პეტროგრადში ბოლშევიკურმა გადატრიალებამ გამოიწვია რუსეთის სამხედრო ფრონტების დეზორგანიზაცია, თვით რუსეთში გაჩაღდა სამოქალაქო ომი, ისე როგორც სხვა ფრონტებიდან, კავკასიის ფრონტიდანაც რუსმა ჯარისკაცებმა თავიანთ სახლებს მიაშურეს. პეტროგრადსა და მოსკოვს, ლენინის საბჭოებს ძალა აღარ შესწევდათ და ამის წყალობით საქართველოს, მთელი კავკასიის განთავისუფლება უკვე ფაქტიურად განხორციელებული იყო უფრო ადრე საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებამდე. ეს გამოცხადება დააჩქარა ოსმალოს ჯარების შემოჭრამ და თურქეთის მთავრობის ულტიმატუმმა. აქედან გამომდინარე, ზოგიერთი უკიყინებს სოციალისტური პარტიის მაშინდელ ლიდერებს: დამოუკიდებლობის გამოცხადების დამსახურება მათ არ ეკუთვნით, ისინი იძულებული გახადა ოსმალეთის მოთხოვნამო. ამ განცხადებაშიც არის ისტორიული სიმართლის ნაწილი. დაე, ამის შესახებ პირუთვნელმა ისტორიამ არკვიოს, ხოლო ჩვენთვის საკითხის ასეთი წარმოდგენა, ვერც ისტორიულ სიმართლეს ამოწურავს მთლიანად და არც დღევანდელ ეროვნულ პოლიტიკისათვისაა სასარგებლო.

რავინდ მებრძოლი არ იყოს ერი, ის თავის თავისუფლებას ვერ მოიპოვებს წინასწარ განსაზღვრულ მომენტში, საჭიროა მზადება გადამწყვეტი ბრძოლისათვის და ყველაზე ხელსაყრელი დროს შერჩევა, რათა უმცირესი მსხვერპლის გაღებით, უდიდესი სარგებელი იქნეს მიღწეული. ასეთ შერჩევასთან გვაქვს საქმე 1918 წლის 26 მაისს: ერთი წვეთი სისხლიც არ დაქცეულა, ისე გადაიგდო საქართველომ რუსეთის მონობის მძიმე უღელი. რომ ეს მენშევიკების პარტიული ავანტიურა არ ყოფილა, როგორც ამას საბჭოთა დაქირავებული ან იძულებაში მყოფი პროზავანდისტები ქადაგობენ, ამას უდავოდ მოწმობს ის ფაქტი, რომ, სრულიად უმნიშვნე-

21.565

საქართველოს
კომუნისტური
პარტია

ნელო რიცხვ ბოლშევიკების გარდა, მთელი ქართველი ხალხი ცხელი მისი პარტიებით, ორგანიზაციებით, კულტურული თუ სპორტული და წესებულეებით, შემოიკრიბა ამ დამოუკიდებლობის ირგვლივ, მის დასაცავად და გასამტკიცებლად. სრულ თავისუფლებისა და მრავალპარტიულ პირობებში არჩეულმა ეროვნულმა საკრებულომ ერთხმად მოიწონა და დაამტკიცა ქართული სახელმწიფოს დამოუკიდებლობა და თვითხელმწიფება. ჩვენი მოვალეობაა დღეს, ამ ერთობისადმი გავამახვილოთ ყურადღება. მთავარი და დიდმნიშვნელოვანი ქართველი ხალხისათვის, ჩვენი დღევანდელი ბრძოლისათვის ისაა, რომ ეს დიადი განთავისუფლების ფაქტი მოხდა, გამოცხადდა საჯაროდ და ცნობილი იყო საერთაშორისო სარბიელზე და, რომ დამოუკიდებელი საქართველოს სახელმწიფო საქვე ხელთ ეპყროთ ქართველი ხალხის მიერ ამორჩეულებს.

დამოუკიდებელმა და სრულუფლებოვანმა საქართველომ მართალია, რომ დიდხანს ვერ იარსება, მხოლოდ ორი წელიწადი და ათი თვე, მაგრამ ამ მცირე დროის განმავლობაში მან მოასწრო შეექმნა თანამედროვე სახელმწიფოსათვის საჭირო ყველა ძირითადი ინსტიტუტი, რომლებსაც ხელი უნდა შეეწყობთ ქვეყნის შემდეგ განვითარება-აყვავებისათვის. რაც მთავარია, უაღრესად რთულ და არახელსაყრელ საერთაშორისო ვითარებაში, ქართველმა ხალხმა, მისმა მაშინდელმა ხელმძღვანელობამ შეძლო ცარიტული დესპოტური რუსეთის იმპერიის ნანგრევებზე სრული პოლიტიკური თავისუფლების პატივისცემული მრავალპარტიული დემოკრატიული წესწყობილების დაფუძნება, რაც ქართველ ხალხს ადრე არასოდეს არ გამოუცდია. რა თქმა უნდა, ამ სიახლის შეთვისებას და შესისხლხორცებას დრო უნდოდა და ეს დრო მტერმა მას არ აცალა.

არც ერთ ქვეყანაში ჯერ არ არსებულა და არ არსებობს ისეთი ხელისუფლება, რომლის მადლიერიც იყოს ან ყოფილიყოს ქვეყნის მთელი მოსახლეობა, პირიქით, დემოკრატიულ ქვეყნებში ხშირად მოსახლეობის 51 პროცენტი რომ რეჟიმის მომხრეა 49 პროცენტი წინააღმდეგია. მთელი მოსახლეობის მხარდაჭერას მხოლოდ ტოტალიტარული რეჟიმები ჩემულობენ. ცხადია, რომ დამოუკიდებელ საქართველოს მმართველ სოციალ-დემოკრატიულ პარტიასაც ყველა შინაგანი ოპოზიცია, თუ გნებავთ ბოლშევიკების სახით, მაგრამ ამ შინაგანი ოპოზიციით 1921 წლის დასაწყისში მას არავითარი



საფრთხე არ შეიძლება ქონებოდა და თუ იგი დამარცხდებოდა, ეს არა ქართველი ხალხის ნება - სურვილით, არამედ უტყუარად მწიფოს, საბჭოთა რუსეთის ჯარების თაედასხმის შედეგად. მუხანათურად შემოჭრილმა საბჭოთა ჯარებმა ძალმომრეობით დაამხეს ქართველი ხალხის მიერ არჩეული ხელისუფალნი და ჩვენს სამშობლოს სამხედრო ოკუპაცია მოუხდინეს. ლენინის მთავრობის ეს მოქმედება მით უფრო საზიზღარი და დასაგმობია, რომ მან 1920 წლის 7 ნოემბერს საქართველოს მთავრობასთან დადებული ხელშეკრულებით იცნო საქართველოს დამოუკიდებლობა და მას აღუთქვა ხელშეუხებლობა, რომელი ხელშეკრულებაც მას საჯაროდ არასოდეს არ გაუუქმებია.

მართალია, რუსებს შემოუძღვენ, ან მათ სამხედრო ურმებს შემოკყენ ზოგიერთი კჳუაცხელი ქართველი ბოლშევიკებიც, რომლებსაც შემდეგ განგებისაგან სამშობლოს მოღალატეთა ბედი ეწიათ თავისივე პარტიული მეგობრებისაგან, მაგრამ, როგორც უკვე ვთქვით, ეს არ ყოფილა გადამწყვეტი ჩვენი ქვეყნის დაპყრობისათვის და ეს არ ცვლის საქართველოს რუსთა მიერ ოკუპაციის საკითხს.

ლენინის მთავრობა და მისი წარმომადგენლები საჯაროდ გაიძახოდნენ, რომ რუსი ჯარისკაცები საქართველოში დროებით იყენ და, რომ მთელი ძალაუფლება უმოკლეს ხანში გადაეცემოდა ადგილობრივ მშრომელ ხალხს. ზოგიერთ გულუბრყვილოს და საქმეში ჩაუხედავს იქნებ მართლაც ეგონოს, რომ ამ 63 წლის განმავლობაში მდგომარეობა შეიცვალა, რომ საბჭოთა ხელისუფლება ქართველი ხალხის თანხმობით არსებობს და, რომ საქართველო სამხედრო ოკუპაციას აღარ განიცდის. საქმეც იმაშია, რომ 63 წლის შემდეგ ეს სამხედრო ოკუპაცია დღესაც გრძელდება. ამიერკავკასიის სამხედრო ოლქს მუდამ განაგებენ რუსები, ქართველი და სხვა კავკასიელი ოფიცრობა, უნტერ-ოფიცრობა და რიგითი ჯარისკაცები იშვიათად იმყოფებიან მშობლიურ მიწა-წყალზე, მათი დიდი უმრავლესობა სამხედრო სამსახურს იხდის შორეულ აღმოსავლეთში, შუა აზიაში, ან საბჭოთა იმპერიის ჩრდილოეთ და დასავლეთ ფრონტებზე.

რუსეთის ცენტრალური ხელისუფლება ნიშნავს საქართველოს ერთადერთ მმართველ პარტიის ხელმძღვანელობას, სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის ხელმძღვანელობას, საქართველოს რესპუბლიკის პროკურორს. საქართველო მოკლებულია საგარეო ურთიერთობის სამინი-

სტროს, ხოლო ის სამინისტრო უწყებებიც, რომლებიც მას განაჩინო-
 ყველა უშუალოდ თუ პარტიის მუამდგომლობით დამორჩილებულნი
 იგივე რუსეთის ცენტრალურ ხელისუფლებას. კომპარტიის ხელმძღვა-
 ნელობა რიხით აცხადებს, რომ ისინი ცხოვრობენ ახალ, ჯერ არნა-
 ხულ მაღალგანვითარებულ სოციალისტურ წესწყობილებაში.
 ახალი და ჯერ არნახული ის მართლაც არის, მაგრამ იგი სოცია-
 ლიზმის, მაღალისაც და დაბალისაც, საფრთხობელაა. იგი ხალხის
 სახელით ხალხის სულთამხუთავია და თუ მისთვის შესაფერ სჯელს
 მოვძებნით, მაშინ პარტოკრატულ - პოლიციური უფრო შესაფერისი
 იქნება, რომელიც რუსთა ბატონობას ემსახურება. საბჭოთა ბელადე-
 ბი არც კი მალავენ, რომ კომპარტიის მიზანია საბჭოთა კავშირის
 ერთა ერთ ერად შერწყმა (იხ. ანდროპოვის და ჩერნენკოს საპროგ-
 რამო განცხადებები), რაც სხვას რას უნდა ნიშნავდეს თუ არა
 ყველა ერების გარუსებას. ამ მხრით, ყველაზე საშიშ მდგომარეო-
 ბაში ბალტიის ქვეყნებსა და ბესარაბიასთან ერთად ქართველები
 ვიმყოფებით. ჩვენს თვალწინ რუსებმა ან გაანადგურეს და ან გა-
 არუსეს ყირიმის თათრები, ჩრდილო კავკასიის რიგი ხალხები, გერ-
 მანელები და სხვა მცირე ხალხები.

ქართველებს აღარა გვაქვს უფლება დავთმოთ თუნდაც ერთი გო-
 ჯი ჩვენი ეროვნული განსაკუთრებულობისა. ენა? რა თქმა უნდა!
 არავითარი დათმობა ჩვენი დედაენის საკითხში, მაგრამ აგრეთვე
 არ უნდა დავთმოთ ჩვენი განსაკუთრებული წეს-ჩვეულებები, ლხინი,
 ქორწილი, გლოვა, ტრადიციული ხალხური დღესასწაულები, ყველა-
 ფერი, რაც გვანსხვავებს დამპყრობელისგან.

ამ პერსპექტივაში უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება ამ ჩვენი და-
 მოუკიდებლობის დღის ზეიმობას. ცხადია: უცხოეთში შეუწყნარე-
 ბელია, რომ ქართული სათვისტომოები ამ დღეს არ ზეიმობდენ.
 ეს თანასწორი იქნება დეზერტირობის, მტრის მხარეზე გადასვ-
 ლის, მაგრამ დედა-სამშობლოშიაც უნდა გაისმას ოცდაექვსი მაი-
 სის საზეიმო ყჟინა. საბჭოთა რუსეთის უშიშროების ორგანოები
 ასეთ მანიფესტაციებისათვის თავზე ხელს არ დაუსვამენ, მაგრამ
 ამან არ შეიძლება ჩვენი მამაცი ახალგაზრდობა შეაშინოს. რამ-
 დენად მეტი ქართველი ჩაჯდება ციხეში 26 მაისის გამო, იმდენად
 უფრო მოახლოვდება ჩვენი ეროვნული განთავისუფლებისა და დამო-
 უკიდებლობის დღე და საათი.

26 მაისი ჩვენი საბრძოლო რიგების დათვალეერების დღე უნდა

ევს ხელისუფალთა მოქმედებას.

ყოველგვარ წესრიგზე ზედმეტია ლაპარაკი, როცა ხელისუფალი შეუძლიათ უბრძანონ სასამართლოს, თუ რა განაჩენი უნდა გამოუტანოს მან ბრალდებულს. მაშასადამე, აქ საჭიროა აგრეთვე პოლიტიკურ გარანტიათა არსებობა. მაგრამ, ესეც არაა საკმარისი, სოციალურ გარანტიებსაც დიდი მნიშვნელობა აქვს.

წარსულში, როცა პოპულარული ხდებოდა სოციალისტური სწავლება, სთვლიდნენ, რომ კერძო საკუთრების პრინციპზე დამყარებულ საზოგადოებაში, ადამიანის უფლებები სხვა არაფერია, თუ არა ფიქცია. ეს შეხედულება წარმოისახებოდა, როგორც უბრალო და დამაჯერებელი. დავუშვათ, რომ კანონი გაძლევთ პრესის თავისუფლების გარანტიას. კი, მაგრამ რად გინდათ ასეთი კანონი, თუ თქვენ არ გაქვთ საბეჭდი სტამბა? დავუშვათ, რომ კანონი გაძლევთ კრებათა თავისუფლები^სა გარანტიას. მაგრამ, ისევე და ისევე, რად გინდათ ასეთი კანონი, თუ თქვენს განკარგულებაში არ არის დარბაზი? კერძო საკუთრების ინსტიტუტის შენარჩუნებისას, ამბობენ სოციალისტები, ყველა უფლებით სარგებლობენ მდიდრები, ადამიანები, რომელთა განკარგულებაშია პრესა, საინფორმაციო საშუალებები, შენობები და სხვა. რაც შეეხება ღარიბებს, ისინი კვლავაც რჩებიან უუფლებონი, იმ დროს, როცა არსებობს დემოკრატიული კანონები და კონსტიტუცია.

როგორც ვიცით, ამ არგუმენტებს ჯერ კიდევ აქვთ გასავალი დღევანდელ საბჭოთა კავშირში. მაგრამ ახლა, თუ კერძო საკუთრება ლიკვიდირებულია და სახელმწიფოს ხელშია ყველაფერი? ამ შემთხვევაში ეძლევა ადამიანის უფლებებს რაიმე გარანტიები? ჩვენ კარგად ვიცით, რომ არა! სახელმწიფო, ანუ უფრო სწორედ ჩინოვნიკური აპარატი, თავის ხელში იგდებს საზოგადოების ყველა რესურსს. სახელმწიფო გაზეთები, სახელმწიფო ტელევიზია, სამუშაო და შემოსავლის ყველა საშუალება და ა. შ. ყველაფერი სახელმწიფოსია. დიდი უბედურება მოეღის ადამიანს, თუ იგი თვალში მოუვა სახელმწიფო მოხელეებს. ამის შედეგად ეს ადამიანი აბსოლუტურად უუფლებო ხდება. სწორედ ესაა ის შემთხვევა, როცა უფლებები და კანონები არსებობენ მხოლოდ ქალაქზე.

ამგვარად, ჩვენ კარგად ვხედავთ, რომ ადამიანის უფლებათა პრობლემატიკას გააჩნია აგრეთვე მნიშვნელოვანი სოციალური ასპექტიც. სწორედ ამ საკითხზე მინდა გავამახვილო თქვენი ყურადღე-



ბა და გაგაცნოთ პროფესორ ფრიდრიხ ჰაეკსა და მის წიგნს „გზა მონობისაკენ“ მონობისაკენ.“

ინგლისელი ეკონომისტის ფრიდრიხ ჰაეკის წიგნი „გზა მონობისაკენ“ პირველად გამოიცა მეორე მსოფლიო ომის დროს—1944 წელს. მას შემდეგ ეს წიგნი გახდა კლასიკური. იგი მრავალჯერ გამოიცა დიდ ბრიტანეთსა და ამერიკის შ.შ.—ში. რაც შეეხება თვითონ ფრიდრიხ ჰაეკს, იგი წარმოშობით ჩეხია, მაგრამ გაიზარდა და მიიღო განათლება ინგლისში. ისევე, როგორც მრავალი მისი დასავლეთ-ევროპელი თანამედროვე, იგი გაექცა ნაციზმს, როცა ჰიტლერმა დაიპყრო ჩეხოსლოვაკია. ფრიდრიხ ჰაეკი იყო ეკონომიკის პროფესორი ლონდონის უნივერსიტეტში. შემდეგ მან თავისი მოღვაწეობა განაგრძო ჩიკაგოს უნივერსიტეტში, სადაც ის იყო პროფესორი საზოგადოებრივი აზრის დარგში. 1974 წელს მას მიენიჭა ნობელის პრემია. მიუხედავად იმისა, რომ ჰაეკი იყო ეკონომისტი, მასში დიდ ინტერესს იწვევდა ეკონომიკურ ურთიერთობებში არსებული სოციალურ-პოლიტიკური ასპექტები. ამაზე ლაპარაკობს სათაურები მისი სხვა ნაშრომებისა, როგორებიცაა: „თავისუფლების კონსტიტუცია“, „ინდივიდუალიზმი და ეკონომიკური წესრიგი“, „სამართალი, კანონმდებლობა და თავისუფლება“ და სხვა. მიუხედავად ამისა, მკითხველთა შორის დიდი პოპულარობით სარგებლობს ფრიდრიხ ჰაეკის ადრინდელი ნაშრომი „გზა მონობისაკენ“, რომელზედაც შევაჩერებ თქვენს ყურადღებას.

„1984“-ის ავტორი **ჯორჯ ორველი** სწერდა ამ წიგნის შესახებ: „პროფ. ჰაეკის წიგნი შეიცავს მრავალ ჭეშმარიტ აზრს, განსაკუთრებით მის კრიტიკულ ნაწილში. კვლავაც და კვლავაც უნდა ითქვას, რომ კოლექტივიზმი აუცილებლად დემოკრატიული არ არის. პირიქით, კოლექტივიზმი აძლევს უმცირესობას ისეთ ძალაუფლებას, რომელზედაც ესპანეთის ინკვიზიციასაც კი არ შეეძლო ოცნება.“

მიმდინარეობდა მეორე მსოფლიო ომი. ნაციზმთან ბრძოლა ჯერ კიდევ არ იყო დასრულებული. თავის წიგნში „გზა მონობისაკენ“, ავტორი შეეცადა ახალი თვალსაზრისით შეესწავლა ნაციზმის ბუნება. იგი შეეცადა გაეგო, თუ როგორ მოხდა, რომ ასეთმა აშკარა ბოროტებამ შეიპყრო მნიშვნელოვანი ნაწილი ისეთი ცივილიზებული ხალხისა, როგორიცაა გერმანელები. იგი ცდილობდა გაეგო, თუ რაში მდგომარეობდა აქ ცდუნება. უნდა აღინიშნოს, რომ წიგნის ავტორმა ოფიციალურ რასობრივ თეორიებზე უფრო ღრმად ჩაიხედა ამ საკითხში. იგი შეეცადა გაეგო ამ ბოროტების სოციალური წყაროები, მი-

ზეზები. წიგნის წინასიტყვაობაში ნათქვამია: „პრობლემატიკაში არ მდგომარეობს, თუ რატომ არიან გერმანელები ასეთი ბოროტები. თანდაყოლილი თვისებებით ისინი სხვა ხალხებზე უფრო ცუდები არ არიან. საჭიროა გავერკვიოთ იმ ფაქტორებში, რომლებმაც ხელი შეუწვევს მათში თავისებურ იდეათა განმტკიცებას. აღნიშნულმა ფაქტორებმა მათ ეროვნულ ხასიათში ყოველივე ბოროტი ამოატივტივა.“

ორველის ნაწარმოებიდან კარგად ჩანს, თუ რას წარმოადგენს ეს ფაქტორები. მის შეხედულებას იზიარებს ფრიდრიხ ჰაეკი, როცა ბოროტების საწყისს ხელდავს კოლექტივიზმში. სწორედ ამ ბოროტებამ შეიპყრო გერმანელი ხალხი და მიიყვანა იგი ნაციზმამდე.

კოლექტივიზმი. აქ, ერთი შეხედვით, ყველაფერი თავის რიგზეა: ერთი ყველასათვის და ყველა ერთისათვის. პიროვნება ითქვიფება კოლექტივში. კოლექტივის ინტერესები დომინირებს პირად ინტერესებზე. თავგანწირვა საერთო საქმისათვის ყველაფერზე უფრო მაღლა დგას. სადღა ნახავთ ეგოიზმს? სად არის ანგარება? ერთი სიტყვით, რა უნდა იყოს ამაზე უფრო ზნეობრივი?

მაგრამ ფრიდრიხ ჰაეკს ამ მოვლენაზე სრულიად საწინააღმდეგო აზრი გააჩნია. კოლექტივიზმის გამარჯვებული იდეა არავითარ ადვილს არ უტოვებს თავისუფლებას, ისევე როგორც პატივისცემას ადამიანის უფლებათა მიმართ. კოლექტიურ მასაში არავის არ სჭირდება და არც გაისმის ცალკეულ ადამიანთა ხმები. აქ სოლისტებს ვერ ნახავთ. აქ არის მხოლოდ და მხოლოდ გუნდი, რომელსაც სჭირდება ლოტბარი. სწორედ ის იღებს თავის თავზე კოლექტიური ნება-სურვილის გამოხატვისა და მართვის ფუნქციას. უბედურია ის ადამიანი, რომელიც კოლექტიური ნება-სურვილის გზაზე აღმოჩნდება. ფრიდრიხ ჰაეკის აზრით კოლექტივიზმის იდეის მატარებელი თავდაპირველად იყო არა ნაციზმი, არამედ სოციალიზმი, როგორც ასეთი. სოციალისტურმა სულისკვეთებამ შეიპყრო გერმანელები უფრო ადრე, ვიდრე ხელისუფლების სათავეში მოვიდოდნენ ნაციონალ-სოციალისტები.

ფრიდრიხ ჰაეკის წიგნის დასაწყისში ნათქვამია: „ბევრს ეხლაც კი არ აქვს საკმარისი ინტელექტუალური სიმამაცე, რომ გაერკვიოს ნაციზმის ბუნებაში. ფაშიზმის და ნაციზმის ზრდა არ წარმოადგენდა საპასუხო რეაქციას გასული პერიოდის სოციალისტურ ტენდენციებზე. პირიქით, ეს მოვლენა აღნიშნულ ტენდენციათა პირდაპირი შედეგია. ასეთია კვშმპირტება, რომლის დანახვა არ სურთ ად-

ფრიდრიხ ჰაეკი: „გზა მონობისაკენ“



ამიანთა უმრავლესობას მაშინაც კი, როცა აღიარებენ მრავალ-
გავსებას კომუნისტური რუსეთისა და ნაცონალ-სოციალისტური გერ-
მანიის რეჟიმებს შორის.“

ფრიდრიხ ჰაეკს ბევრჯერ უთქვამს, რომ თავის წიგნში მას ახა-
ლი არაფერი არ აღმოუჩენია. იგი ეყრდნობა გასული საუკუნის მო-
აზროვნის ალექსი ტოკვილის აზრებს. 1848 წლის რევოლუციის
დროს, ფრანგი მოაზროვნე ხაზგასმით აღნიშნავდა დემოკრატიისა
და სოციალიზმის პრინციპების შეუთავსებლობას. იგი წერდა:

„დემოკრატია აფართოებს ეროვნულ თავისუფლებას, სოციალიზმი
კი მას ზღუდავს. დემოკრატია ადამიანს აძლევს ყველა შესაძლო
ფასეულობას, სოციალიზმი კი ადამიანს ხდის კოლექტივის აგენტად,
ნუმრად. დემოკრატიასა და სოციალიზმს ერთმანეთთან საერთო არ-
აფერი აქვთ სიტყვა „თანასწორობის“ გარდა. ჟურადლება მიაქციეთ
სხვაობას: იმ დროს, როცა დემოკრატია იღწვის თანასწორობისა-
კენ თავისუფლებაში, სოციალიზმი მხოლოდ ამყარებს თანასწორობას
შეზღუდვასა და საერთო საქმისადმი სამსახურში.“

ფრიდრიხ ჰაეკის სიტყვით, კომუნისტური რუსეთისა და ნაცონალ-
სოციალისტური გერმანიის ტოტალიტარული რეჟიმები ისტორიაში
არნახული მასშტაბით იყენებენ ძალადობას და არაფრად აგდებენ
ადამიანის უფლებებს, მაგრამ ეს ძალადობა ადამიანის თვალში გა-
მართლებულია კოლექტივის ინტერესებით, რომელთა პირველადობა
დამტკიცებულია სოციალისტურ თეორიებში. ყოფილი, თითქოსდა
არასრულყოფილი თავისუფლების ადგილზე სოციალისტები ქმნიან
ახალს, ვითომდა ჭეშმარიტ თავისუფლებას.

გონებრივად თავისუფალი და სალად მოაზროვნე ადამიანისათვის,
სიტყვა „თავისუფლება“ პირველ რიგში ნიშნავს თავისუფლებას სხვი-
სი დაძვლისაგან, აღვირახსნილობისაგან. სიტყვა „თავისუფლება“
ნიშნავს შემსუბუქებას ტენდეციებისას, რომლებიც ადამიანს სხვა
არავითარ არჩევანს არ უტოვებს, გარდა ერთისა: დაემორჩილოს
თავზე ძალით მოხვეულ, ასე ვთქვათ, „წესრიგს“. სოციალიზმს,
თავისი ახალი „თავისუფლების“ დაპირებით, ადამიანისათვის მოაქვს
სხვა არაფერი, თუ არა გარედან ძალით თავზე მოხვეული ხსენებუ-
ლი „წესრიგი“.

გიორგი ჩხუბიანიშვილი

(რადიო „თავისუფლების“ გადაცემიდან)



ჩოლოქის ხიდთან

(გუძღვნი ჩოლოქის ხიდთან 1918 წ. 8 აპრილის ბრძოლის დღეს)

ათას ცხრაას თვრამეტ წელში თავს დაგვესხა ოსმალეთი,
ბათუმი ბრძოლით წაგვართვა და დაიპყრო ოზურგეთი.

*

შვიდ აპრილს დილით გვაცნობეს, ჩოლოქს მოადგა თათარი,
შვიდი ათასი მხედრისთვის, რომ მათ გამართეს სანგარი.

*

რვა აპრილს დილით, ჯავსნოსნით შევიპყერ მტრისა ბანაკში,
გათენებისას ოსმალი სულჯელა იყენ საფარში.

*

მტრის რაზმის შუა გავჩერდი, უმოქმედოდ, უშფოთველად.
მტერს ვაცნობე: წაგვიყვანეთ, დაგნებდებით უბრძოლველად.

*

დასტოვეს მათი საფარი და ჩვენ დაგვარტყეს რკალია.
ალახ! ალახ!-ო იძახდენ გაგიყებულნი, მთვრალნია.

*

ზარბაზნით, ტყვიისმფრქვევლებით ცეცხლი გავხსენი მტრებზედა,
ჩვენი სისხლისა მწყურვალეს, რისხვა დაგტეხე თავზედა.

*

ოთხი ათასი მოიკლა, სამი ათასი დაიჭრა,
უკანა რეზერვში მყოფნი ბათუმისაკენ გაიჭრა.

*

ჯავსნოსანის მეომრები ქართულ დროშას შეეფიცენ,
მტერს მამაცად შეებრძოლენ და სამშობლოს შეეწირენ.

*

სამშობლოსთვის თავდადებულთ ერი უწყობთ ვარდით მკობას.
გაუმარჯოს თქვენსა სახელს, გაუმარჯოს თქვენსა ხსოვნას!

ჯავსნოსნების ყოფილი უფროსი ვ ა ლ ლ დ ი ა გ ო გ ვ ა ძ ე

დ ი დ თ ა მ ა რ ს !

იმერეთიდან მოვდივარ გზა მიდევს თბილისისაკენ,
მივალ და თვალებს მივაპყრობ მამადავითის მთისაკენ.
იქ ვნახავ შენს ქანდაკებას, ხმალსა გაწვდილსა მტრისაკენ,
ქართული ღვინით ავსილ თასს, მიძღვნილსა მეგობრისაკენ.

შენი გონივრულ თვალებით გაპყრებ მამულისაკენ, ეროვნული კასპიის ზღვიდან სამხრეთით, ჩრდილოეთ - შავიზღვისაკენ დაღონებული იფიქრებ, ხელეებს აღაპყობ ღვთისაკენ და წყველა - კრულვას გაგზავნი შენ შენი ერის მტრისაკენ.

ეს შენ ხარ მეფეთ - მეფეო! თამარო, ქართველის დედაო! შენი დედური ამაგი ჩვენ ყველას შეგვერგებაო. შენს დღეზე მოგესალმები, შენთვის მაქვს გულის ვნებაო, ასი სიცოცხლე რომ მქონდეს, ასივე შენ გერგებაო...

სოსო უორქოლიანი
მიუნხენი, 105.1970.

რ ა ს წ ა რ მ ო ა დ გ ე ნ ს დ ე მ ო კ რ ა ტ ი ა ?

სიტყვა „დემოკრატია“ ხშირად გამოიყენება თანამედროვე პოლიტიკურ ლექსიკონში. არანაკლებ მას ბოროტადაც იყენებენ, დღეს ძალზე ცოტა მოიძებნება ისეთი ადამიანი, რომელიც ღიად გამოთქვამს აზრს დემოკრატიზმის წინააღმდეგ. დიქტატორები და ტოტალიტარული რეჟიმების ბელადებიც კი თავის თავს დემოკრატებად სთვლიან. მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში ასეთი ხელისუფალნი მათ სახელმწიფოებს ხან „ხალხურს“, ხან „სოციალისტურს“ და ხან კი „ეროვნულს“ უწოდებენ, რაც ასეთი სახელმწიფოების რეალური სახის ნიღაბს წარმოადგენს.

„დემოკრატია“-ეს „ხალხის ხელისუფლება“-ასეთია ყველაზე პოპულარული და ფართოდ გავრცელებული წარმოდგენა ამ სიტყვის შინაარსზე. მას ჯერ კიდევ ძველი ბერძნები იყენებდნენ. ძველი ათენის უპირატესობა სპარტის რეჟიმზე სწორედ იმაში გამოიხატებოდა, რომ ათენში თვითოეულს შეეძლო ეფიქრა, ელაპარაკა და ემოქმედა ისე, როგორც მას სურდა; ადამიანების პირად ცხოვრებას სახელმწიფო პატივს სცემდა და მათ ცხოვრებაში ჩარევის უფლება არავის ჰქონდა. ათენის მოქალაქენი ემორჩილებოდნენ მხოლოდ კანონს და არა მათ ხელისუფალთა სურვილებს. დემოკრატიის პირობებში დაცული უნდა იყოს სხვადასხვა საზოგადოებრივი, პოლიტიკური და რელიგიური ორგანიზაციების თავისუფალი არსებობა. პოლიტიკური პარტიების მთავრობისაგან დამოუკიდებელი მოღვაწეობა, აუცილებელი პირობაა თავისუფალი არჩევნებისა და თვით დემოკრატიის მექანიზმის ნორმალური მოქმედები-

სათვის. მეოცე საუკუნის დასაწყისში ეს იდეა უფრო მეტად გავრცელდა და დემოკრატიის განვითარებისათვის საჭირო განსაკუთრებული თვე მშრომელთა ახალი, განსაკუთრებული ორგანიზაციების—პროფესიული კავშირების—მოღვაწეობა.

დემოკრატიის მეორე უმაღლესი საყრდენია მასობრივი ინფორმაციის საშუალებების: ბეჭდვითი სიტყვის, რადიოსა და ტელევიზიის დამოუკიდებლობა. დემოკრატიულ ქვეყნებში გაზეთები, ჟურნალები და სხვა გამოცემები თავისუფალია მთავრობის ცენზურისაგან. რაიმე მასალის გამოქვეყნებისათვის საჭირო არ არის მთავრობის არავითარი სპეციალური ნებართვის მიღება. გამოცემლობათა მფლობელებად, როგორც წესი, გამოდიან საზოგადოებრივი ორგანიზაციები, კერძო პირები, მემარცხენე და მემარჯვენე პარტიები. ბეჭდვითი სიტყვის, პოზიტივიზმისა და ინფორმაციის თავისუფლების გარეშე სახელმწიფოში არაფერი არ შეიძლება იყოს თავისუფალი,—არც არჩევნები და არც მართლმსაჯულების სისტემა, შეუძლებელია, როგორც პირადი დამოუკიდებლობის, ისე სამართალწესრიგის დაცვა.

მეთვრამეტე - მეცხრამეტე საუკუნეების გამოჩენილი ფრანგი პოლიტიკური ფილოსოფოსი ბენეჟამენ კონსტანი წერდა, რომ დესპოტთა დანაშაულებრივი მოქმედების დაშვება შესაძლებელია მხოლოდ იმ პირობებში, როდესაც ბეჭდვითი სიტყვა დამორჩილებულია ცენზურისადმი.

დემოკრატიის ფილოსოფია სთვლის, რომ ადამიანების ცხოვრება მრავალფეროვანია და არავის არ აქვს უფლება თავს მოახვიოს ხალხს თავისი აზრი იმის შესახებ, თუ რა არის სიმართლე ან რა არის სიცრუე, რა არის სასარგებლო ხალხისათვის და რა არა, ან რა არის სამართლიანი და რა არის უსამართლო. ქვეშაობების დადგენის მეთოდები ძალზე მრავალფეროვანია, ისევე, როგორც საზოგადოებრივი პრობლემების გადაწყვეტის გზები. სწორედ ამიტომ, დემოკრატიის დასავლური გაგებით, ძალაუფლება სახელმწიფოში გაყოფილი უნდა იყოს საშემსრულებლოდ, საკანონმდებლოდ და სასამართლოდ. ამერიკის შ. შ.—ში მაგალითად, კონსტიტუციის შესრულებაში უპირატესობა არ ეძლევა სახელმწიფო მართვის ერთ-ერთ რომელიმე სფეროს—პრეზიდენტს, კონგრესს ან სასამართლოს.

სრულიად დასაშვებია ისეთი შემთხვევა, როდესაც შეერთებული შ.—ბის კონგრესი, მთელი ფედერაციის ან ორმოცდაათი შტატის ერთ-ერთი რომელიმე ორგანო მიიღებს ისეთ გადაწყვეტილებას, რომელსაც სასამართლო და კედოდ უმაღლესი სასამართლო ჩათვლის არაკონსტიტუციურად. ამერიკის შ. შ.—ის ისტორიაში ყოფილა ბევრი შემთხვევა, როდესაც უმაღლესი სასამართლო გამოსულა პრე-

ზიდენტის ან კონგრესის გადაწყვეტილებათა წინააღმდეგ, დამორჩილებულან მის განაჩენს, ვინაიდან თვითოეული დემორჩილოს ქვეყნის კანონებს.

მასასადამე, შეიძლება ვთქვათ, რომ დემოკრატია— ეს არა მარტო უმრავლესობის ხელისუფლებაა, არამედ კანონისა და მართლმსაჯულების ხელისუფლებაცაა.

საბჭოთა იდეოლოგიები დემოკრატიათა აიგივებენ მოსახლეობის უღარიბესი ნაწილის ხელისუფლებასთან, მაგრამ სინამდვილეში მთავარი არა მათი სოციალური წარმოშობაა, ვინც მთავრობას შეადგენს, არამედ მთავარი ის არის მუშაობენ თუ არა ისინი ხალხისათვის, პატივს სცემენ თუ არა სინდისის, სიტყვის, კრების თავისუფლებას. მთავარი ის არის შესაძლებელია თუ არა მთავრობის შეცვლა პერიოდულად არჩევნების გზით, როდესაც ხალხს მისი სურვილის გამოხატვის საშუალება მიეცემა.

ამ მოსაზრებებს ჩვენ მივყავართ დემოკრატიათა ყველაზე ნათელ დახასიათებამდე, რომელიც მას მისცა აერაამ ლინკოლნმა,—ამერიკის შ. შტ.—ის ისტორიაში ერთ-ერთმა აღიარებულმა პრეზიდენტმა. თავის სიტყვაში, რომელიც მან წარმოთქვა 1863 წელს გეტინბურგში (პენსილვანიის შტატი), დემოკრატია ასე დაახასიათა „ხალხის მთავრობა“, „ხალხისათვის“ და „ხალხის მეშვეობით.“ ამ განსაზღვრის თითოეული ელემენტი ერთნაირად მნიშვნელოვანია. მხოლოდ ისეთ მთავრობას, როგორც პრეზიდენტმა აღნიშნა, შეუძლია უზრუნველყოს ადამიანების თავისუფლება და ბედნიერება.

გურამ გელოვანი

ქ. ფაშალიშვილი : ო რ ი ლ ე ქ ს ი

1. მ ა გ ო ნ დ ე ბ ი ა ნ ჩ ვ ე ნ ი ბ ი ჭ ე ბ ი

მომწონს პარიზი, ვრცელი, ლამაზი, თავისებური, სახელგანთქმული. მას ეძახიან ქალაქთა - ქალაქს. ამბობენ: არის მსოფლიოს გული.

*

მიყვარს პარიზი სიცოცხლით სავსე, მისი ბუნება, ჟანრი, თვისება. როცა ვიგონებ ჩემს იქ განვლილ წლებს, მოხუცს თვალები ცრემლით მევსება.

*

სან - კლუს, შამ დე მარსს და ლა - მოტ - პიკეს
როგორ გავხედო, რომ არ ავტირდე;
მონმარტრს, მონპარნასს და ედგარ კინეს
როგორ ვუმზირო, არ ავკვითინდე.

*

მაგონდებიან ჩვენი ბიჭები,
კარგნი, ძვირფასნი, ძმის შესადარნი;
მინდა ჩავეკრა მათ წმინდა საფლავთ,
მაგრამ არ ვიცი რა შორს, სად არი.

*

კვლავ ყურში მესმის თითოეულის ხმა,
კვლავ თვალწინ მიდგას მათი სვლა, რხევა;
ოჰ, ღმერთო ჩემო! უმანკო სისხლი
სად დაიღვრება და დაინთხევა!?

*

მათ თავი დასდევს, შედგრად დაიცვეს
ერის ღირსება, ერის პატივი,
ბედი არ ჰქონდათ, არც ერთს ეღირსა
დედის მოთქმა და ზედ დანატირი.

*

მიყვარს პარიზი, მაგრამ გავურბი
მის გაშლილ უბნებს, აღმა და დაღმა,
რომ მოგონებებს არ შევეფეთო
და დარღმა გული არ დაწვა - დაღრღნას.

*

ფრანგი გამიგებს ჩემ გულისტკივილს,
უამრავი აქვს ამბები, ცდები,
გრძნობებით მდიდარს მშვენივრად ესმის
უტხოვლების ფიქრი, განცდები.

ლონდონი. 1983.

ს ი ზ მ ა რ შ ი ვ ნ ა ხ ე დ ი დ ი ი ლ ი ა

სიზმარში ვნახე ღიდი ილია,
იმ ღიად ღამეს რა დამავიწყებს,
მისი სიტყვები გულში ჩამრჩება,
მანამ განგება მე დამამიწებს.

*

მგოსანმა გვითხრა:

„ეს მიწა-წყალი, ცა და ჰაერი



„მას მოუარა, მან ის დაიცვა
სისხლით, დიდ გარჯით, ოფლით და გლოვით.
*“

ჩვენ აღვიზარდეთ სპეტაკ რწმენაზედ:
მივდევთ წინაპართ გამოცდილ რჩევებს;
სანამ ვარსებობთ ვაჭებთ, ვადიდებთ
ჩვენს ტურფა ქვეყნის მცველებს და მხსნელებს.
*“

შაგ-ბნელი იყო ჩვენი წარსული:
ნგრევა, რბევა და ჯავრი უწყვეტი;
ქართული სულის ჩაკვლას, გაბზარვას
ნუ იმედოვნებს ნურვინ, ნურც ერთი.
*“

დღესაც მტერი გვყავს ჩვენს ბინა-კარში.
წლის ნაჯა არის მისი გეგმები.
უტეხი არის ჩვენი ძირ - ფესვი
და ზედ ნაშენი მისი კედლები.
*“

ტექნოლოგია სწრაფად წინ მიდის,
ახალ დონემდე უნდა ავმადლდეთ.
ჩვენი კულტურა შევინარჩუნოთ,
აღვდგეთ, გავმაგრდეთ და თან გავმრავლდეთ.
*“

თავის განწირვა მსხვერპლი იოლი,
ჩვენთვის ცოდვაა, უნდა ვერიდოთ;
ძველ შეცდომების სწავლა, განხილვით
ჩვენ ძვირფას ერის ტვირთი ვეზიდოთ.“
*“

გამომეღვიძა კერს მივაშტერდი,
ტანზე დამასხა ცივმა, გრილ ოფლმა;
ამ სინამდვილეს წყნით შევხედე,
ისევე პოეტთან მინდოდა ყოფნა.

ქ. ფაშალიშვილი

21.565



რუსეთის ნდობა არ შეიძლება ეკონომიურ ასპექტში = (დასაწყისი იხ. „თავისუფლების ტრიბუნა“ №42)

ჯ. კენანი, საუკეთესო მცოდნე კრემლის ზრახვების, თუ მართე-ბულად ამბობდა, რომ: „რუსეთი ადვილად ხედავს დასავლეთის გა-უზბედაობას, რასაც მაშინვე თავის სასარგებლოდ იყენებს“-ო, - დღ-ეს ეს აღარ ითქმის. ამერიკა აღარ გაუბრბის საბჭოთა კავშირის იდეოლოგიურ, პოლიტიკურ და სამხედრო გამოწვევას, პირიქით, ემზადება, რომ მას გადაჭრით დაუპირდაპირდეს. დასავლეთ ევრო-პის პოლიტიკური მეთაურობაც აღარ ითმენს მოსკოვის გამოძალ-ვის პოლიტიკას, რაც გამოაშკარავა ევროპის უშიშროების თათბი-რმა მადრიდში. საბჭოთა კავშირს აქ პროცესი გაუმართეს ჯერ ავღანეთზე, შემდეგ ადამიანის უფლებებზე და ბოლოს პოლონეთის საკითხზე, რაც თვით სქელკანიან რუსეთის დათვისთვისაც ძნელად ასატანი გამოდგა. ჩაკვდა კრემლის კომფორტული პოზიცია, საიდა-ნაც ის ჯერ კიდევ ცოტა ხნის წინად ახალ-ახალი პროპაგანდის ლოზუნგებს ისროდა. თათბირის ერთ მონაწილე რუსს უთქვამს: რომ გვცოდნებოდა, თუ რა მოხდებოდა, ევროპის უშიშროების და ეკონომიური თანამშრომლობის პროცესს არ წამოვიწყებდით“-ო, რაც ადვილად გასაგებია რადგანაც კრემლს ჰელსინკში მიღებული ხელშეკრულება სურდა გამოეყენებია მეორე მსოფლიო ომის შემ-დეგ მის მიერ ცალმხრივად დადგენილი საერთაშორისო საზღვრე-ბის საჯაროდ აღიარების მიზნით და ეს მას როგორც მშვიდობის ინსტრუმენტი კი არ აინტერესებს, არამედ როგორც შემდეგი გა-ფართოების საშუალებად, ანგოლადან ავღანეთამდე, ცენტრალური ამერიკის ჩათვლით, მაგრამ აქაც და სხვაგანაც მას წინ გადაე-ღობა პრეზიდენტი რ. რეიგანი. ამერიკის ახლანდელ მთავრობას საჭიროდ კი არა, აუცილებლადაც მიაჩნია, რომ ნ ა ტ ო ს სამხედ-რო მოვალეობები გავრცელდეს არა მხოლოდ ევროპაში, არამედ მსოფლიოს ყველა კუთხეში, სადაც კი საბჭოთა კავშირი დაემუქ-რება, როგორც მაგალითად, სპარსეთის ყურეში, ახლო აღმოსავლე-თში, ან აფრიკაში.

მკითხველებს ვთხოვ ეს ზემოდ თქმული მიიღოს ჩემი წინა წე-რილის „რუსეთის ნდობა არ შეიძლება (პოლიტიკურ ასპექტში), რომელიც გამოქვეყნდა „თავისუფლების ტრიბუნა“ №42-ში, ახლა კი შევეცდები პასუხი გავცე, რომ რუსეთის ნდობა არ შეიძლება არც ეკონომიკური მხრით.

მეორე მსოფლიო ომმა მთლიანად შეცვალა ამერიკა-საბჭოთა

კავშირის დამოკიდებულება და 1941 წლის დეკემბრიდან სრულიად განმტკიცდა სამხედრო თანამშრომლობა, რაც ცოცხლის წინადაც არც ერთ მხარეს სიზმრადაც არ მოუვიდოდათ, მხოლოდ საჭონლის გაცვლა-გამოცვლას კი არ ჰქონია ადგილი, რაც დამახასიათებელია ნორმალური ვაჭრობისათვის, არამედ ცალმხრივად, ამერიკიდან საბჭოები იღებდნენ ყველაფერს, რასაც მოისურვებდნენ. ფაქტიურად რუსეთი ერთ ღამეში თანასწორუფლებიანი წევრი გახდა ანგლო-ამერიკელების, რომლებმაც ყველა პოლიტიკურ-იდეოლოგიური წინააღმდეგობა დაივიწყეს და მსოფლიო გზები გახდნენ ამერიკული საჭონლის რუსეთისაკენ მიმავალ გზებად.

ამერიკამ კბილებამდე შეაიარაღა 150 საბჭოთა დივიზია, როგორც სახმელეთო, ისე საჰაერო. ამერიკა საბჭოთა კავშირს ამარაგებდა არა მარტო სამხედრო იარაღით, არამედ აგრეთვე ტანსაცმლით, ფეხსაცმლით, სურსათ-სანოვაგით და მოწინავე ტექნიკით: საბჭოთა ინდუსტრია ლისანსების გარეშე იღებდა საიდუმლო გამოგონებებს, რომელიც რუსეთმა მოხერხებულად გამოიყენა ომის შემდეგ, საკუთარი ინდუსტრიის გასავითარებლად.

საბჭოთა ეკონომიკამ არა ნაკლებად ისარგებლა „მშვიდობიანი თანაარსებობისა და დაძაბულობის შენელების“ პოლიტიკით. უკანასკნელი 15 წლის განმავლობაში დასავლეთის კაპიტალმა და ტექნიკამ თავისი გრძელვადიანი სესხებით რუსეთს დაეხმარა მძიმე ინდუსტრიის მოდერნიზაციაში (იხ. „თ.ტ.“ №31 - 33).

ვაჭრობა რუსეთისათვის თანამშრომლობის საგანს კი არ წარმოადგენს, საერთო სარგებლობისა და გამოყენების მიზნით, არამედ სამხედრო უპირატესობისა და მსოფლიოზე გაბატონების საშუალებას, რასაც დაუღალავად იმეორებს სოლჟენიცინი დასავლეთში და თვით რუსეთში, საკუთარი სიცოცხლისა და ჯანმრთელობის საფასურად, აკადემიკოსი სახაროვი. მიუხედავად ამერიკის პრეზიდენტის რჩევისა, საბჭოებთან ვაჭრობის შეკვეცა ვერ გადაუწყვეტიათ ბონს, პარიზს და ლონდონს, და არც მაგარი ფინანსიური პირობები წაუყენებიათ მოსკოვისათვის. პირიქით, სწორედ ახლა სდებენ მასთა გრძელვადიან ვაჭრობისა და კრედიტების ხელშეკრულებებს და კეძოდ ფედ. გერმანიისათვის ტრადიციად გახდა, რომ კრემლის ბატონის და ბონის კანცლერის შეხვედრას რამდენიმე დღით წინ უსწრებს ეკონომიურ პროექტზედ მორიგება. ასე იყო 1981 წელს, ნოემბერში, ბონში ბრეჟნევის წვევისას მას ლანგარით მიართვეს წინააღმდეგობით დაჩქარებით გაფორმებული გაზის მილსადენის პროექტი და 25 წლიანი სავაჭრო ხელშეკრულება, რასაც 8 დეკემბრის გაზ. „კომუნისტი“ სიამოვნებით ესალმება.

ახლაც, ფედ. გერმანიის კანცლერ კოჰლის მოსკოვში ვიზიტს, 1983 წლის 4 ივლისს, წინ უსწრებდა მისი სამრეწველო მინისტრი რის, გრაფ ლამსდორფის მოლაპარაკება საბჭოების მინისტრების ბკოს თავმჯდომარის მოადგილე ლეონიდ კოსტანდოვთან, ისეთ დიდ და გრძელვადიან პროექტებზე, როგორებიცაა ქვანახშირის გადამუშავება, აღმოსავლეთ-დასავლეთ ენერჯო სისტემების (გაზი და წყალი) დაკავშირება, საბჭოთა საავტომობილო წარმოების გაზრდა, გაზის სადენის მშენებლობაზე ციმბირიდან დასავლეთ ევროპამდე და სხვა.

საბჭოები ეყრდნობიან გერმანიის კაპიტალს! გაწვრთნილ სპეციალისტებს და, რასაკვირველია, ამ პროექტებისათვის საჭირო მანქანა-იარაღებს.

საბჭოთა პროპაგანდა ყურებს გვიჟედავს, რომ ციმბირის გაზის სადენი გაყვანილობა საკუთარ ძალებით დავამთავრეთო. უკანასკნელი სარწმუნო ცნობების თანახმად, ახალი გაზსადენისათვის საჭირო 41 კომპრესორიდან მხოლოდ ერთი აქვთ მზად, რომელსაც ამჟამად შინჯავენ, რაც იმას ნიშნავს, რომ რ. რეიგანის სანქციების გამო საბჭოები უმწეონი არიან გაზსადენი რომ დაასრულონ. როგორც ევროპის დაცვის და სტრატეგიული სწავლის ლონდონის ინსტიტუტი იტყობინება, საფუძვლიანი ანალიზის შედეგად ევროპა-საბჭოთა კავშირის გაზის ხელშეკრულება მეტად საზარალო ყოფილ დასავლეთ ევროპისათვის. ჟურნალ ვალ - სტრიტის ევროპის გამოცემაში, მთავარი რედაქტორი გორდონ კროვიც დაასკვნის, რომ ევროპას საბჭოებისთვის მიღები და სხვა საჭირო მოწყობილობა მეტის-მეტად დაბალ ფასებში მიუწოდებია; რომ ევროპას აგრეთვე სახელმწიფო კრედიტები მოსკოვისთვის გულუხვად დაუთმია. გერმანელებს კი გაზის ფასი იმდროინდელი საერთაშორისო ფასის მიხედვით დაუდგენიათ, რაც ათი წლის განმავლობაში უცვლელი უნდა დარჩეს, მაშინ, როცა ნავთის და გაზის ფასი 1981 წლის შემდეგ, ე.ი. ხელშეკრულების ხელის მოწერიდან 15 - 20 პროცენტით დაეცა. რაც მთავარი და დუჟკერებელია: საბჭოებს თავისი გაუტანიათ და თუ ევროპა გარიგების 80 პროცენტს ვერ აიღებს, მისი ფასი მაინც უნდა გადაიხადოს.

ნორმალური ვაჭრობის წინააღმდეგ აბა, რა გვეთქმის, მაგრამ ისეთ ქვეყანასთან, რომელიც თავისი ბიუჯეტის ნახევარს სამხედრო ხარჯებს ახმარს და, რომელსაც მსოფლიოზე გაბატონება მიზნად დაუსახავს, დანაშაულად თუ არა, დიდ შეცდომად მაინც უნდა ჩაითვალოს. ხომ აშკარაა, როგორც ამას ამერიკის თავდაცვის მინისტრი აცხადებდა, რომ დასავლეთის ტექნოლოგიის ექსპორტის

გარეშე, საბჭოთა კავშირს არ ექნებოდა შეიარაღების ისეთი მა-
ლალი დონე, როგორც ეს მას დღეს აქვს?!

1980 წელს საბჭოთა კავშირს დასავლეთის ინდუსტრიალურ ქვე-
ყებიდან შეუტანია 24 მილიარდი დოლარის საქონელი, რაც მისი
იმპორტის 36% შეადგენს; პოლონეთს შეუტანია 34%, რუმინეთს
31% გერმანიის დემ რესპ. 31%, უნგრეთს 29%, ჩეხო-სლოვაკიას
24%, ბულგარეთს 17%.

როგორც ხედავთ, თითქმის მესამედი საქონლისა კომუნისტური
ბლოკის ქვეყნებს შეაქვთ თავისუფალი დასავლეთიდან და, რა თქმა
უნდა, უმთავრესად მაღალი ხარისხის ინდუსტრიული ნაწარმი, მა-
გრამ აგრეთვე სურსათიცა და განსაკუთრებით ხორბალი და პირუ-
ტყვის საკვები მარცვლეულობა. 1982 წელში ამერიკას 14 მილი-
ონი ტონა მარცვლეული ჩაუბარებია, ხოლო 1983 წ. ავგისტომდე
მხოლოდ 6 მილიონი. ახალი გარიგების მიხედვით, რომელიც 1983
წლის დეკემბრიდან შედის ძალაში, მომავალი ხუთი წლის განმავ-
ლობაში საბჭოთა კავშირი ამერიკიდან ყოველწლიურად შეიძენს
9 - 12 ტონა მარცვლეულს. ამ ხელშეკრულებით ცხადად ჩანს თუ
რა დიდათაა დამოკიდებული საბჭოთა კავშირი მარცვლეულის მხ-
რით მსოფლიო ბაზარზე და კერძოდ ამერიკის შ. შტ.-ებზე.

რუსეთი თავისი ეკონომიური სისტემით დასავლეთის დაუხმარე-
ბლად აქამდე ვერ იარსებებდა, რის საჩვენებლადაც საკმარისია
ერთ სულზე ეროვნული შემოსავლის ცხრილები მოვიყვანოთ 1981
წლისათვის: ამერიკის შ. შტ.-სათვის იგი უდრიდა 12.800 დოლ-
არს, ფედ. გერმანიისათვის 11.100, საფრანგეთისათვის 10.500,
ესპანეთისათვის 9.600, ინგლისისათვის 8.900, იტალიისათვის 6.100,
და საბჭოთა კავშირისთვის მხოლოდ 5.100 დოლარს.

რუსეთი დამოკიდებულია დასავლეთის ტექნიკურ ჯანმარებაზე
და კრედიტებზე, და სიტყვა კრედიტი ხომ „კრედეტ“-იდან მოდის,
რაც ნდობას ნიშნავს. რუსეთი, რომ სანდო არ არის და მისგან
ხელმოწერილი ქაღალდი, რომ იმავე ქაღალდის ფასადაც არა ღირს,
ეს მე მგონია, სადავო და სამტკიცებელი აღარ უნდა იყოს. ჯერ
კიდევ 1905 წელს საფრანგეთის და გერმანიის გამოჩენილი ფინან-
სისტები ამტკიცებდნენ, რომ რუსეთის ფინანსები ჯანსაღი, სტა-
ბილური და გამძლეაო, მაგრამ ცარიტული რუსეთის ვალების გა-
დახდაზე ლენინის მთავრობამ უარი განაცხადა.

„ო 5 უ“-ს გამოანგარიშებით 1980 წლის დასაწყისს მხოლოდ სეს-
ხად გაცემული თანხა თუ 57 მილიარდ დოლარს უდრიდა კომეკო-
ნის ქვეყნებისათვის, იმავე წლის ბოლოს დავალიანებამ 90 მილი-
არდ დოლარს მიაღწია და მას შემდეგ ეს დავალიანება სწრაფად
მატულობს, რაც ქმნის საშიშროებას საერთაშორისო ფინანსიური

სისტემის მოშლისას, რაზედაც ამ აკანასკნელ ხანს სულ უფრო და უფრო დაქინებით ლაპარაკობენ ამ საკითხის სპეციფიკური საერთაშორისო საფინანსო გაკოტრების საშიშროება მით უფრო სერიოზულია, რომ ვარშავის ბლოკ სახელმწიფოების დიდ დავალიანებას ემატება განვითარებადი ქვეყნების, ანუ მესამე მსოფლიოს სახელმწიფოთა ასევე დიდი დავალიანებები. ასე მაგალითად, 1982 წელში აღმოსავლეთი ბლოკის და მესამე მსოფლიოს სახელმწიფოთა საერთო დაგწლიანებამ 706 მილიარდი დოლარი შეადგინა. პოლონეთი, იუგოსლავია, თურქეთი, რუმინეთი და სამხრეთ ამერიკის რიგი ქვეყნები უკვე ბანკრუტის წინაშე დგანან, არამც თუ ძირითად კაპიტალს, სარგებელსაც ვეღარ იხდიან და ახალ სესხებს ითხოვენ, მაგრამ უკვე გაფრთხილებული ინტერნაციონალური საკრედიტო ორგანიზმი უარს ეუბნებათ, წლიურად გასასესხებელი თანხა 75 მილიარდი დოლარით განსაზღვრეს და მას მხოლოდ დასავლეთ ევროპას, ჩრდილოეთ ამერიკას და იაპონიას აძლევს სესხად.

ისმება კითხვა, ნუთუ არ შეიძლება, რომ ეს უშველებელი თანხა, რომელიც კომუნისტურ ქვეყნებთან ვაჭრობის გაფართოებას მოხმარდა, ამავე ქვეყნებში ადამიანის უფლებათა დაცვის საქმეს მოხმარებოდა? ვიეთნი იტყვიან, რომ საერთაშორისო პოლიტიკაში გრძნობებით არ ხელმძღვანელობენო, რაც ჭეშმარიტებაა, მაგრამ სწორედ მიზანწეწონილობის პრინციპით ეს იქნებოდა, თუ საკმაოდ გრძელ ვადას გავითვალისწინებთ, გაცილებით უფრო მომგებიანი, როგორც დასავლეთის დემოკრატიისათვის, ისე საკაცობრიო თავისუფლებისათვის.

უკანასკნელი 20 წლის განმავლობაში დემოკრატიული ქვეყნები ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ საბჭოთა კავშირის და მისი სატელიტ ქვეყნების გრძელვადიან კრედიტებით ხელის გამართვაში, რაც კრემლმა თავისი საომარი იარაღის უზომოდ გასაძლიერებლად გამოიყენა და შექმნა რეალური საშიშროება კომუნისტური ექსპანსიისა. ეს საშიშროება კარგად იგრძნო პრეზიდენტმა რ. რეიგანმა და ისიც, რომ რუსების ნდობა არ შეიძლება, მაგრამ შეიძლება კი იგი ჯერ თვით ამერიკელი ხალხის და მერე მთელი თავისუფალი სამყაროს დაჯერებას ამ თითქოსდა ერთი შეხედვით ანბანურ ჭეშმარიტებაში? აი საკითხი, რომლის პირველ პასუხს ამ წლის დამთავრებამდე, 6 ნოემბრის არჩევნები მოგვცემს.

დავით ვაშაძე

იკეპოე 1984.



ს ა მ უ ო ბ ლ ო

ქვეყნული
წიგლნიერთეკა

„ქვეყანა, საცა დავიბადე მე და მამა-პაპანი ჩემნი; ენა, რომელიც მომეცა სახსრად უბნობისა დაბადებისთანავე; კერა, რომელიც მათბობს და გონებასა შინა მიქედს მრავალს გადმოცემას – ყველა ეს ჩემთვის დედის რძესავით ტკბილია და საყდარივით წმინდა, უსაღვთოესი.“

ლასურიძე

რაც, რომ მოვწყდი მე ჩემს მხარის ტურფა ველებს, მთებს და ჭალებს, უცხოეთში სიმწუხარის არ მშორდება ცრემლი თვალებს.

შენ სამოთხის კარებს აღებ, ვინ თქვა სიტყვა საგმობარი? სადაც ვიყავ ვერსად ვნახე შენი მსგავსი მთა და ბარი.

რაც, რომ მშობლის წმინდა კერას გავეყარე ყრობის წლებით, აქ, ცხოვრების ბედისწერამ გარდმიშალა ტანჯვის გზები.

გული ნაცრად დაიფერულა შენს ხევებში ნაბუღარი, რომ გარდვიტყე იის პეკლად შენთან მოვალ უღეგარი.

ყვეილოვან წალკოტებით ხარ ედემი, მაცხოვარი, ვარსკვლავები, ცის ტოტები თვალს გიმშვენებს მზე და მთვარით.

აქ ლტოლვილი დავრჩე ვიდრე, ერთი დამაქვს სათხოვარი, თუ ცოცხალი ვერ მოვიდე, მკვდარსა მომეც შესაფარი.

შენზე კარგი, მშვენიერი ქვეყნად ვინმე არვინ არი, შემკობილი მრავალ ფერით, თვით ღვთაების დასადარი.

არ ჩაივლის ცუდად მაინც ჩვენი სისხლის ნაგუბარი, მოვა დრო და უმღერს რაინდს ჩემი სოფლის ნასახლარი.

გიორგი ტოგონიძე

„ლტოლვილის სიმღერა“, პარიზი 1953.

ლ ე ო ქ ი ა ჩ ე ლ ი ს მ ო ს ა გ ო ნ ა რ ი

წელს 7 თებერვალს 100 წელი შესრულდა მწერალ ლეო ქიაჩელის დაბადებიდან და გასული წლის 25 დეკემბერს მისი გარდაცვალების 20 წლისთავი იყო. ეს ორი თარიღი გვავალებს სულ მოკლედ

მაინც მოვიგონოთ ლეო ქიაჩელის პიროვნება და შემოქმედება.

ლეო ქიაჩელის ნამდვილი გვარია შენგელია და ის დარბანდა ზუგდიდის მაზრის სოფელ ობუჯში. ქუთაისის კლასიკური გიმნაზიის დამთავრების შემდეგ შედის ხარკოვის უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე. მომავალი მწერალი ადრევე, გიმნაზიაში სწავლის დროს, ჩაება რევოლუციურ მოძრაობაში. პოლიტიკურად სოციალისტი იყო და მენშევიკურ ფრაქციას ეკუთვნოდა, რასაც მისი დღევანდელი საბჭოთა კრიტიკოსები არ ახსენებენ. ისინი რატომღაც არც იმას ახსენებენ, რომ საქართველოს დამოუკიდებლობის დროს ლეო ქიაჩელი ზუგდიდის სამაზრო ერობის თავმჯდომარე იყო.

1906 წელს ლ. ქიაჩელი დააპატიმრეს როგორც აქტიური რევოლუციონერი, მოათავსეს ქუთაისის საგუბერნიო ციხეში და მკაცრი სასჯელი ელოდა, მაგრამ გარედან მოწყობილ გვირაბის საშუალებით მან ციხიდან გაქცევა მოახერხა. ამის შემდეგ ის წავიდა მოსკოვში, სადაც ის ცხოვრობდა 1912 წლამდე. ამის შემდეგ ის გაემგზავრა დასავლეთ ევროპაში და სასწავლებლად შევიდა ქენევის უნივერსიტეტში და მხოლოდ 1917 წლის რევოლუციის შემდეგ დაბრუნდა სამუდამოდ სამშობლოში.

ლ. ქიაჩელი მოწაფეობიდანვე წერდა პატარა მოთხრობებს გიმნაზიის ხელნაწერ კურსალში, ხოლო ათას ცხრაასიანი წლების დამდეგიდან უკვე ქართულ პრესაშიდაც ქვეყნდებოდა მისი ნოველები და მოთხრობები. ემიგრაციაში ჯონის დროს ლ. ქიაჩელმა დაწერა დიდი რომანი „ტარიელ გოლუა“, რომელიც მის უდიდეს მხატვრულ ნაწარმოებს წარმოადგენს. რომანის მთავარი მოქმედი გმირია ტარიელ გოლუა, რომელიც სათავეში უდგას სამეგრელოს გლეხების ბრძოლას რუსეთის თვითმპყრობელობის წინააღმდეგ. ტარიელ გოლუა 65 წლის ქარმაგი, ენერგიული კაცია, ის უშიშარი და მედგარი მებრძოლია და საერთოდ ანსახიერებს ქართველი ვაჟკაცის ბუნებას. ამ რომანში ავტორს მოცემული აქვს უკვდავი სული ქართველი ადამიანისა, რომელიც იბრძვის სოციალური და ეროვნული ჩაგვრის წინააღმდეგ. ამ რომანში, გარდა უსამართლობის წინააღმდეგ წარმოებული გმირული ბრძოლის ეპიზოდებისა, ავტორს დიდი სიმართლით აქვს გადმოცემული მეგრული გლეხის ბუნება, მისი კეთილშობილება, პატიოსნება და თავგანწირვა მშობელი ხალხის თავისუფლებისათვის. ისევე როგორც უტუ მიქავა, ტარიელ გოლუაც ნამდვილი შვილია საქართველოს ერთი კეკლუცი მხარისა— სამეგრელოსი.

„ტარიელ გოლუას“ მოჰყვა ლეო ქიაჩელის მეორე დიდი მოცულობის რომანი „სისხლი“, რომელიც გაშლილია 1905 წლის რევოლუციის დამარცხების ფონზე, თავისი რეპრესიებით და პოლიტიკური ბრძო-

ლებით, რომლის ცენტშიაც დგას ქართველი ინტელიგენცია. გარდა დიდი რომანებისა, ლეო ქიაჩელის კლამს ეკუთვნის რომანები და მცირე მოთხრობები: „მამა ოქროპირი“, „მოქცევა“, „ლუკმა პურის ამბავი“, „ჰაკი აძბა“, „თავადის ქალი მიაია“, „აღმასვრი კიბულანი“. სერგი ჭილაიას სამართლიანი თქმით: „ამ ნაწარმოებებში მთელი ძალით გამოვლინდა მცირე ფორმების ნოველების ბრწყინვალე ოსტატი და ამის გარდა მას სხვა არაფერი დაეწერა, მაინც მხოლოდ ამით ის დარჩებოდა ჩვენს მწერლობაში, როგორც ბრწყინვალე ოსტატი ქართული მხატვრული სიტყვისა.“

ბესო უდენტსა და მის მსგავს საბჭოთა კრიტიკოსებს თუ დავუჯერებთ, ლეო ქიაჩელი თავიდანვე ჩაბმულა თურმე საბჭოთა ფერხულში, რაც არ არის სწორი და რატომ? ლ. ქიაჩელმა, როგორც ბევრმა სხვა მწერალმა და პორტმა, განვლო მეტად ნარეკლიანი გზა საბჭოთა პერიოდში. ისინი ასე ადვილად არ გასაბჭოებულან და ამის გამო ლ. ქიაჩელმაც არა ერთხელ იწვნია „რაპის“ მწარე თავდასხმები. ლეო ქიაჩელი ერთხანს რედაქტორობდა ყურნალ „ლომისი“-ს, რომლის გარშემოც გაერთიანებული იყვნენ ქართული მხატვრული სიტყვის ძველი გამოჩენილი მწერლები, რომლებსაც თავს დაესხა ბერია, საქართველოს კომპარტიის მე-10-ე ყრილობაზე, როგორც რეაქციონერ, ბურჟუაზიულ-ნაციონალისტურ მიმართულების მწერლებს.

დიდი შინაგანი ბრძოლის შემდეგ, ლეო ქიაჩელიც გატყდა და ხელი-სუფლებასთან თანამშრომლობის გზას დაადგა. ეს თანამშრომლობა აისახა რომან „გვადი ბიგვა“-თი, რომელშიც გადმოცემულია საქართველოს სოფლის კოლექტივიზაცია, საბჭოურ კლასთაბრძოლის ფონზე. მიუხედავად „საბჭოთა რეალიზმის“ სკოლისათვის დამახასიათებელი შაბლონისა „გვადი ბიგვა“-ს მაინც აზის ბეჭედი დიდი შემოქმედისა.

ცნობილი მწერალი დემნა შენგელაია ლ. ქიაჩელს უწოდებს თავმდაბალს, მოკრძალებით აღსავსეს, რაც სავსებით მართალია. მასხოვს სამეგრელოში ჩემი მოწაფეობის დროს ზუგდიდში დედაჩემისაგან ხშირად გამიგონია ლეო ქიაჩელის შესახებ—„ჩქინი ლეო“—მართლაც, რომ ის ხჯხის ლეო იყო: მოსიყვარულე, თავმდაბალი, მოკრძალებული, რაც კიდევ უფრო ამშვენებდა, ისედაც მის მშვენიერ გარეგნულ მიმზიდველობას. საქართველოს დამოუკიდებლობის დროს, როცა ის ზუგდიდის მაზრის ერობის თავმჯდომარე იყო, ღარიბ

 ოჯახების შეილებს ერობის ხარჯზე აგზავნიდა ქუთაისში სასწავლებელად, მათ შორის ვიყავი მეც და იქნებ ამიტომაც სამუდამოდ დადგარი დავრჩი მისი პიროვნების პატივისმცემელი.

ალექო ლორია

მიუნხენი, თებერვალი 1984.

მ ე გ ო ბ ა რ ს

მეგობარი ხომ ნაწილია ჩვენი სულის!

როგორც თვალი შორს, ისე გული შორს!
 ამბობს ანდაზა, ოდითგან თქმული,
 მაგრამ ვინც დათმოს გზა მეგობრობის,
 იქნეს ის ღვთისგან შეჩვენებული!

**

მეგობრობა ხომ სანთელი არის,
 წმინდა სანთელი, ცვილისგან სხმული?
 მეგობრისათვის სანთლებზე დავდნები,
 დავიღვენთები მის სიყვარულით,—

**

ოღონდ ვიცოდე და მწამდეს მტკიცედ,
 ეს გრძნობა არის იმისი სულიც;
 ხალასი არის, ვით თვითნაბადი
 ბაჯალლო ოქრო, ბუნების სხმული.

**

დგას ის უღრეკად, ვითარც კლდე მყარი,
 მას ვერას აკლებს ქამი და ხანი
 და ღვივის მარად, ვითარც ლამპარი,
 ბნელის გამკვეთი სხივ - ჩირაღდანია.

**

გამიბრწყინდება ცის კაბადონი,
 გადაეყრება თალხი მის კიდურს,
 წარიხოცება ჯანლი, ბურუსი
 და გადმიდარებს გულსა დაისრულს,—



სადაც, როდესაც შემომესმება,
რომ მეგობარი ისევ მმეგობრობს,
და წარსულ დღეთა მირონსაცხებად
თავის უხილავ ხელს კვლავ მთავაზობს!

როზა აბნერაშვილი

ბათ იამი. ივლისი 1981.

ე ქ ვ თ ი მ ე თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი ს 120

წ ლ ი ს თ ა ვ ი ს თ ვ ი ს

გასული წლის 3 იანვარს 120 წელი უსრულდა დიდი და ხვავრი-
ელი მეცნიერის და ღვაწლმოსილი მამულიშვილის პროფესორ ექვთი-
მე თაყაიშვილის დაბადებიდან, ხოლო იგივე გასული წლის 21 თე-
ბერვალს, მისი გარდაცვალების 30 წლისთავი.

ჩვენი ემიგრაციის შემოქმედებითი სიღატაკის ბრალია, რომ ამ
თარიღებს თავის დროზე ვერ გამოვჩვენაურეთ, განსვენებული ხომ
ჩვენი, ვადმოხვეწილთა პატარა საზოგადოების, უპატივცემულესი
წევრი იყო!? ეს გამოხმაურება მით უფრო საჭირო იყო, რომ ახლა
საბჭოთა რეჟიმი და მისი ყურმოჭრილი ისტორიოგრაფია საექვოდ
აქებს და ადიდებს მას, ჯერ კომპარტიაში ვერ ჩაუწერიათ, მაგ-
რამ შორს აღარ ჯიან; ხოლო, მას ართმევენ იმ მთავარ ღი-
რსებას, რამაც მისი ცხოვრება და მოღვაწეობა განსაზღვრა: მხუ-
რვალე მამულიშვილობას.

უმაღლესი სასწავლებლის დამთავრებისთანავე ექვთიმე თაყაიშვილი
სამშობლოში დაბრუნდა და მიუხედავად არახელსაყრელი მატერიალუ-
რი პირობებისა ქართული ცივილიზაციის კვლევა-ძიებასა, აღნუსხვა-
სა და დაგროვებას მიუძღვნა თავი. ახალგაზრდა მკვლევარის პირ-
ველი ნაბიჯები თვით დიდმა ილიამ დალოცა, 1888 წელს ის ქართ.
წერა - კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების გამგეობის წევ-
რად შეიყვანა. ეს საზოგადოება იყო იმ დროს ქართული კულტურის
ნამდვილი კერა. ამის გარდა, ექ. თაყაიშვილმა თავისი ინიციატი-
ვით, 1907 წელს დააარსა საქართველოს საისტორიო-საეთნოგ-
რაფიო საზოგადოება, რომელიც იმ დროს სამეცნიერო აკადემიის
როლს ასრულებდა, და მის პირველ თავმჯდომარედ თვითვე,
ექვთიმე თაყაიშვილი იყო არჩეული.

შეუდგა რა მტრებისა და დროთა მუსგრას გადარჩენილი ქვეყნის ოცნებების, ფრესკებ-ხატების, ხელნაწერთა და სხვათა აღწერას. ~~ეკლესიის~~ წავლას, ექ. თაყაიშვილმა თავიდანვე მიზნად დაისახა მეცნიერულად ცხადი გაეხადა მშობელი ერის კულტურის თავისთავადობა და მით ურყევი ნიადაგი მოემზადებია რუსთა მპყრობელობისაგან განთავისუფლების წმინდა და სანუკვარ საქმისათვის, როგორც შიგნით, ისე გარეთ, საერთაშორისო სარბიელზედ.

და მართლაც მან თავისი დიდი ნიჭით, საფუძვლიანი ცოდნით და უსაზღვრო რუღუნებით, დაუფასებელი სამსახური გაუწია სამშობლოს და ამიტომაც მისი ნათელი ხსოვნა გვაღფრთოვანებს და მადლიერებით გვაგვსებს ყველა ქართველ მამულიშვილს, განურჩევლად სარწმუნოებისა, სოციალური მდგომარეობისა და პარტიულობისა. გარნა, როცა საკითხი ექ. თაყაიშვილის პარტიულობას ეხება, როგორ შეიძლება დაიმალოს, როგორც ამას საბჭოთა ბიოგრაფები სჩადიან, რომ ის ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის წევრი იყო, რომ ის ქართველი ხალხის ჰიერ დეპუტატად იყო არჩეული ეროვნულ საკრებულოში, როგორც ეროვნული დემოკრატი და, რომ ის ამ უმაღლესი ეროვნული დაწესებულების თავმჯდომარის მოადგილე იყო არჩეული. და ბოლოს, როგორც საქართველოს პარლამენტის საბჭოს წევრმა და თავმჯდომარის ახანაგვმა, ექ. თაყაიშვილმა პროტესტის ნიშნად დასტოვა საბჭოთა მხედრიონისაგან დაპყრობილი სამშობლო და უცხოეთში გამოჰყა მისი ღვაწლით თავმოყრილ ეროვნულ განძეულობას, რომელიც მთავრობის გადაწყვეტილებით უცხოეთში მოჰქონდათ, რათა იგი საბჭოთა ვანდალებისაგან გადაერჩინათ და ქართველი ხალხისათვის შეენახათ. ასე იქცეოდენ ყოველთვის ჩვენი წინაპრები მტრების შემოსევების დროს. ასე მოიქცა საქართველოს რესპუბლიკის მთავრობა 1921 წლის მარტში. საბჭოთა მეცნიერების აკადემიის წევრ-კორესპონდენტი აკაკი სურგულაძე კი თვალის დაუხამხამებლად წერს გასული წლის 24 სექტემბრის გაზ. „კომუნისტში“: „იგი (ექ. თაყაიშვილი) იძულებული გახდა პარიზში მცველად გაჰყოლოდა ეროვნულ განძეულს, რომელიც ემიგრაციაში გახიზნულმა ყოფილმა მენშევიკურმა მთავრობამ გაიტაცა“ **გაიტაცა?** როგორ ბატონო სურგულაძე? დამოუკიდებელი საქართველოს მთავრობა ბანდიტებისგან ხომ არ შედგებოდა, განძეულობა რომ გაეტაცნათ და მართლა, რომ გაეტაცნათ, ვინ დაუშლიდათ მის გაყვანასა და გაფლანგვას? კოჭლი და სუსტი მოხუცი ექვთიმე თაყაიშვილი? ესაა თქვენი ლოლიკა ბატონო სურგულაძე? მაგრამ ლოლიკა რაში გპირდებათ საბჭოთა ისტორიკოსს?!

ქართველი ახალგაზრდობის საველეოდ აკაკი სურგულაძე ერთად-



ერთი არ გახლავთ, ამ უკანასკნელ ორ ათეულ წელიწადში, მას შემდეგ, რაც საბჭოთა ხელმძღვანელობამ განსვენებულ უფროსის სახელი (მკვდრებს რასაც გინდათ იმას ათქმევინებთ და გააკეთებინებთ!) თავის საპრობაგანდოდ გაიხადა, ვინ არ სცადა თავისი კალამი ექვთიმე თაყაიშვილის ბიოგრაფიაზე, განსაკუთრებით, როგორც ეროვნული განძეულის მცველზე: ო. მეტრეველმა და შ. ბადრიძემ 1962 წელში, ი. მეგრელიძემ 1966-ში, ელ. კელენჯერიძემ -1972-ში, ა. სურგულაძემ-1977-ში, დიდი ხანი არაა ასევე ცალკე წიგნად გამოსცა პროფ. გ. ჟორდანიამ, რომელიც ჩამოთვლილთა შორის ყველაზე უფრო ობიექტიურია, და ბევრმა სხვებმაც მიუძღვნეს წიგნები და სტატიები ექვთიმე თაყაიშვილის პიროვნებას. ყველა მათგანი ხმაშეწყობილად არაფერს ამბობს პროფესორ თაყაიშვილის პარტიულობაზე, ეროვნულ და სახელმწიფოებრივ მოღვაწეობაზე; ყველას გამოტოვებული აქვს დამოუკიდებლობის ხანა და ერთთავად გაიძახიან, რომ მენშევიკურმა მთავრობამ საფრანგეთში გაიტაცა ეროვნული განძეულობა, რომელსაც იძულებული იყო მცველად გაჰყოლოდა ექვთიმე თაყაიშვილი. ამ პარტიზანულ დამახინჯებებს და დამალვებს მოსდევს უნიჭო ზღაპრები ეროვნული განძეულობისა და მისი ერთადერთი მცველი ექვთიმე თაყაიშვილის 25 წ. ოდისეიაზე, სადაც მოხუცი პროფესორი სუპერ-ტარზანად მხეცებით ავსილ ჯუნგლებში წარმოგიდგებათ, რომელიც საბოლოოდ იმარჯვებს ყველაფრისა და ყველას წინააღმდეგ.

სამწუხაროდ ჩვენი ქვეყნის ახალგაზრდობისა, ასეთი საეჭვო და ცალმხრივი ბიოგრაფიები ექვთიმე თაყაიშვილზე იბეჭდება არა მარტო პრესის ფურცლებზე და მონოგრაფიების სახით, არამედ თვით „ქართულ საბჭოთა ენციკლოპედია“-შიც. კიდევ კარგი, რომ ამ ენციკლოპედიას „საბჭოთა“ აწერია და არა უბრალოდ „ქართული“.

ვთქვათ, რომ ექვთიმე თაყაიშვილის ეროვნულ-დემოკრატიულობა ამ საცოდავებს ძალიან უხერხულ მდგომარეობაში აყენებთ, მაგრამ პროფესორი ექვთიმე თაყაიშვილი რომ ეროვნული საკრებულოს დეპუტატი იყო, კიდევ მეტი: ამ საკრებულოს საბჭოს წევრი და თავმჯდომარის მოადგილე, რომლის ზევით მხოლოდ პარლამენტის თავმჯდომარის და რესპუბლიკის პრეზიდენტის პოსტები არსებობენ, ამის მოუხსენებლობა როგორ უნდა გაამართლოს „ენციკლოპედიამ“, რომელიც თავის სახელწოდებას ოდნავ მაინც პატივს სცემს?

ღიახაც, ექვთიმე თაყაიშვილმა ძალიან დიდი სამსახური გაუწია ჩვენ სამშობლოს და იგი ღირსია არა მარტო იმ ძეგლის, რომელიც მას მის სოფელ ლიხაურში აუგეს, არამედ უფრო მეტის, რომ სამუდამოდ მადლიერმა ქართულმა თაობებმა მისი ცხოვრება სამაგა-

ლითოდ გაიხადონ, მაგრამ, როცა საკითხი ეხება ეროვნულ განძე-
ულობის მოვლა-შენახვას, გადარჩენას და დაბრუნებას სამშობლოში,
ამას უნდა ვუმაღლოდეთ არა მარტო ექვთიმე თაყაიშვილს, ყველას
წინააღმდეგ, არამედ ექვთიმე თაყაიშვილსა და ეროვნულ მთავრო-
ბას, ნოე ჟორდანიას მეთაურობით. ამ უკანასკნელებმა ამით ერთ-
ხელ კიდევ დაამტკიცეს, რომ ისინი ღირსნი იყვნენ ქართველი ხალ-
ხის უზენაესი ნდობის.

გიორგი წერეთელი

ჩ ე მ ი მ ა მ უ ლ ი

პატარა და კობტაა, თან ლამაზი და ნაზია,
დედამიწაზე ცნობილი უძვირფასესი განძია.
ტკბილია, როგორც სიცოცხლე, როგორც მყნვარი შაქარი;
უკვდავებისა ნათელი გულზე აქვს გადანაფარი.

გარშემო მთები არტყა, ციცაბო მაღალკლოვანი,
გულზე წალკოტი უგია მარადყამს ყვავილოვანი;
იქ ბევრი მოყმე გმირია და ტურფა ლამაზმანები,
ცხადად კაცთ დამატყვეველნი, სიზმრადაც დასაზმანებნი.

ის არის ძველი სადგური გოლიათ ამირანისა,
საპირფარეშო სავანე ზღაპრული ლამაზ დაღისა;
ამბობენ: ზამთარ - ზაფხულში სულ თანაბარად დარობსო;
თვით უფალს დაულოცია, დასაბამიდან ჰყვარობსო.

პირველად ევა-ადამი იმის წალკოტში შობილა,
ვარდით მორთული აკვანი თვით უფლის ხელით რწობილა;
ნინო ყოფილა ნათლია, პირველი მირონმცხებელი,
ანგელოზი და ფერია თანვე ჰყოლია მხლებელი.

ის სამოთხეა მგალობელთ, სირთ, ბულბულთ, იადონისა,
ტაძარი მაღალ აზრების, სიქველის, ჭკუის, გონისა,
ბაღნარი ია-ვარდების, სირენის, ზამბახებისა,
ლხინის, სიამის, ტრფობისა, სიცოცხლის დაბადებისა,
და ასპარეზი ჰანგების, დაფის, ნაღარის, ბუკისა,
აკვანი ახალგაზრდობის, სიქალწულ-სიქაბუკისა.

ჩემი თვისტომი ბინადრობს, ყველა მისია მმართველი:

მეგრულ-გურული, კახელი, იმერელი და ქართლელი, ეგრეთწოდებული სვანი, თუში და ხევსური, მესხი, აჭარელ-ფშაველი. სივრცითი საერთო არის იმათთვის: ცა, ზღვა, ჰაერი, მთა-ველი. ბედი არ სწყლობს წყელი, ბევრი მტერი ჰყავს მძრახველი. მათ ეწოდებათ ძველთაგან ერთი საერთო სახელი.

ტკბილია, მეტად ტკბილია, როგორც მყნვარი შაქარი, ასე კოპწია ქვეყანა, აბა მითხარით სად არი? ზღვები და მთები არტყა, გარშემო შემოზღუდული, მუდამ იჭითკენ მიფრინავს ჩემი ოცნების შურდული. მის მიწა ციურ მანანით არის მთლად გადანამული; იქ მინდა მოგვეღვიძო, ვიმარხო; ის არის ჩემი მამული.

დიმიტრი ქიმედიძე
„ნაპერწყლები გულიდან“, სოფო 1955.

*** **

მ ი მ ა რ თ ვ ა ს ა ფ რ ა ნ გ ე თ ი ს პ რ ე ზ ი დ ე ნ ტ ს

საფრანგეთის პრეზიდენტ ბატონ ფრანსუა მიტერანის მოსკოვში ვიზიტად გამგზავრების წინ, მის უდიდებულესობას წერილით მიმართა საფრანგეთის ქართველთა სათვისტომოს გამგეობის თავმჯდომარემ, ბ. თამაზ ნასყადაშვილმა. მასში ჩამოთვლილი იყო ადამიანის უფლებათა დარღვევის შემთხვევები საბჭოთა საქართველოში და საერთოდ ქართველების მიმართ მთელ საბჭ. კავშირში; და ბოლოს მოკრძალებული თხოვნა, რომ ბატონ პრეზიდენტს კეთილი ენებებია, შესაძლებლობის შემთხვევაში, რეჟიმის უდანაშაულო მსხვერპლთა სასარგებლოდ ეშუამდგომლა საბჭოთა პარტნიორების წინაშე.

პრეზიდენტისადმი მიმართვაში აღძრული იყვნენ შემდეგი საქმეები:

1. მერაბ კოსტავა: დაახლოებით 45 წლის, მუსიკოლოგი, აქტიური წევრი ადამიანის უფლებათა და ჰელსიკის ხელშეკრულების ცხოვრებაში გატარების თბილისის კომიტეტების: პირველად 1978 წ. „ანტისაბჭოთა პროპაგანდის“ ბრალდებით დაპატიმრებული, გასამართლებული, სამი წლით პატიმრობით და ორი წლით გადასახლებით დასჯილი. პატიმრობაც და გადასახლებაც, მიუხედავად საბჭოთა კანონმდებლობის დარღვევისა, ვაატარა სამშობლოდან შორს-ციმბირში; სასჯელის გათავების ცოტა ხნით ადრე „კ.გ.ბ.-ს მიერ მოწყობილი პროვოკაციით“ ისევ

უწესო ფორმებში გაასამართლეს და 5 წლით მკაცრ პირობებში პატიმრობით დასაჯეს. მ. კოსტავამ არა ერთხელ გააპროტესტა მისი ასეთი უსამართლო დევნა-შევიწროება. საბჭოთა საქართველოს თვალსაჩინო წარმომადგენლებმაც იმუამდგომლეს საბჭოების უმაღლეს დონეზე მის სასარგებლოდ, მაგრამ ამაოდ. უკანასკნელი ცნობით მერჯ კოსტავამ პროტესტის ნიშნად შიმშილით გაფიცვა გამოაცხადა. ამის შემდეგ მისი ბედი უცნობია.

2. **ნიკოლოზ სამხარაძე:** ექიმი-პედაგოგი, დაახლოებით 70 წლის, ცოლიანი, სამი შვილის მამა, წვერი ადამიანის უფლებების და ჰელსინკის ხელშეკრულების სამეთვალყურეო კომიტეტების, ჯერ კიდევ 1959 წლიდან ის დაუღალავად მოითხოვდა ქართული ენის სწავლების გაძლიერებას და საქართველოს ისტორიის ცალკე საგნად შემოღებას ქართულ საშუალო სკოლებში, რის გამოც ის ხელისუფლებისაგან იდევნებოდა 1968 წლიდან მოყოლებული ის ხან ციხეშია, ხან საგიყეთში გამომწყვდეული. უკანასკნელად 1980 წელში დააპატიმრეს და გამოაცხადეს საზოგადოებისათვის საშიშ სულით ავადმყოფად. მას შემდეგ არავინ იცის სად იმყოფება ფსიქიატრულ საავადმყოფოში.

3. **ვალენტინა ფაილოძე:** დაახლოებით 60 წლის(დაბადებული უნდა იყოს დაახლოებით 1923 წელს), სამი შვილის დედა, კონსერვატორია გაქირავების გამო ვერ დაამთავრა, მღეროდა საეკლესიო გუნდში, ზ. გამსახურდიასთან და მ. კოსტავასთან ერთად აქტიური წევრი ჰელსინკის და ადამიანის უფლებების თბილისის კომიტეტების, განსაკუთრებით ამხელდა კ.გ.ბ.-ს ძირგამომთხრელ საქმიანობას ეკლესიის საპარტიარქოში, აქტიური წევრი „რელიგიური რწმენის დაცვის“ ჯგუფის, ათი წელია რაც განიცდის პოლიციის სასტიკ დევნას, უწყობენ პროვოკაციებს, ემუქრებიან სიკვდილით, მთელი ოჯახი განიცდის პოლიციის უხეშობას; უკანასკნელად, გასული წლის 25 მაისს, მოსკოვიდან, „ასოშიეტედ პრესის“ და „ფრანს პრესის“ სააგენტოებმა ვაღმორცეს, რომ თბილისში ხუთი დღის განმავლობაში ასამართლებდნენ ვალენტინა ფაილოძეს და მიუსაჯეს 8 წლის პატიმრობა და 5 წლით გადასახლება. ვ. ფაილოძის ოჯახის მისამართი: თბილისი, მესამე მასივი, მე-8 კვარტალი, მე-2 კორპუსი, ბ.43;

4. **ახალგაზრდები, რომლებიც შეკამათებისა და მშვიდობიანი მანიფესტაციებისათვის იდევნებიან:** გასულ წელს საბჭ. ხელი-

სუფლებმა გადაწყვიტეს დიდი ზემოთ აღენიშნათ რუსეთის სახელმწიფო ველოს ხელშეკრულების 200 წლისთავი. ბევრი ქართველი ზრდა ამით აღშფოთებული იყო, რადგანაც ამ ხელშეკრულებამ რუსებს საბაზი და საშუალება მისცათ საქართველოს პირწმინდად ანექსიისა და საქართველოს სახელმწიფოს გაუქმებისა. ასეთი ხასიათის ნაბეჭდი ფურცლების დარიგების გამო დააპატიმრეს სტუდენტები პაატა სალირაძე და ირაკლი წერეთელი; ცოტა ხნის შემდეგ კი იგივე საქმეზე დააპატიმრეს ტელეხედვის რედაქტორი ლ. შაქიშვილი, მუშა ტარიელ ღვინიაშვილი, ტაქსის მძღოლი ზაქარია ლაშქარაშვილი. ივლისის თვეში ქუჩაში მშვიდობიანად გამოსულმა ახალგაზრდებმა პროტესტი განაცხადეს აღნიშნული დღესასწაულის გამო და მოითხოვედნ ამ საქმეში ფურცლების დარიგების გამო დაპატიმრებულთა განთავისუფლებას. მანიფესტანტების გარეკვის შემდეგ პოლიციამ დააპატიმრა: სტუდენტები, ნანა კაკაბაძე, დავით ბერძენიშვილი, მარინა ბაღდავაძე, გია ქანტურია; ისტორიკოსები, თამარა ჩხეიძე და ზურაბ ცინცაძე. ყველა დაპატიმრებულთა ხვედრი დღემდე უცნობია.

5. 1983 წლის 18 ნოემბრის თვითმფრინავის გზიდან გადახვევის ცდის ავტორები: საბჭოთა ხელისუფლება, მიუხედავად მათ მიერ ჰელსინკის ხელშეკრულებაზე ხელის მოწერისა, თავის მოქალაქეებს ნებას არ აძლევს თავისუფლად იმოგზაურონ უცხოეთში, რის გამოც ხშირია გამოქცევის ცდები, რომლებიც არაიშვიათად ტრაგიკულად მთავრდებიან. ერთ ასეთ დრამატიულ ცდას ადგილი ჰქონდა საქართველოში, გასული წლის 18 ნოემბრის ღამით. 9 ახალგაზრდამ სცადა პილოტის იძულება, რომ თვითმფრინავით მეზობელ თურქეთში გასულიყვნ, მაგრამ პილოტმა შეძლო მათი მოტყუება და თვითმფრინავის უკან, თბილისის აეროდრომზე დაბრუნება, სადაც მათ უცდიდა სპეციალური კომანდო, რომელმაც განურჩევლად სროლა ატეხა; გატაცების 3 ავტორთან ერთად 3 თვითმფრინავის ეკიპაჟის წევრი და ორი მგზავრიც მოიკლა, ხოლო 15 კაცი მძიმედ დაიჭრა. თვითმფრინავის გატაცების ცდის ავტორები, რომლებიც ცოცხლები გადაარჩენ, ორი მაშინვე განთავისუფლეს, რადგანაც კ.გ.ბ. —მ უდანაშაულოდ სცნო, ხოლო დანარჩენი ოთხი: კოლ-ქმარი გეგა და თინათინ კობახიძე და ორი ძმა ლეკიშვილი საიდუმლო პატიმრობაში ჰყავთ, კაცმა არ იცის სად? თქმა არ უნდა, რომ ჩვენ თვითმფრინავის გატაცების მცდელობას არ ვამართლებთ, რაგინდ საპატიო არ იყოს

მისი მოტივი, მაგრამ, რაგინდ დამნაშავენიც არ იყვნენ, მათი მთავარი და მამაცველ ვეჭილის არჩევისა და მომსახურებისა, რასაც სწორედ მოკლებული არიან ჩვენს მიერ ზემოდ აღნიშნული პატიმრებიო, — ნათქვამი იყო საფრანგეთის პრეზიდენტისადმი მიწერილ წერილში, რომელსაც ხელს აწერდა ბ. თამაზ ნასყადაშვილი.

„კ ა გ ე ბ ე ს“ ა ნ კ ე ს ე ბ ი

ცხადია, რომ კაცებე დასავლეთში სტუმრად თუ ტურისტულად, ან მივლინებით ჩამოსულ ჩვენ თანამემამულეებს უკრძალავს თვითმფრინავის გატაცების ცდის ტრაგედიაზე ლაპარაკს, ხოლო შეკითხვის შემთხვევაში უნდა უპასუხოთ, რომ ის ახალგაზრდები მშობლებისაგან განებივრებული, გათავხედებული და უპრინციპონი იყვნენ და, რომ მათ არ გააჩნდათ არავითარი სერიოზული მოსაზრება, თავიანთი გიჟური გადაწყვეტილებისათვის. ეს იყო მხოლოდ თავგასულთა თავხედობა!

მოსალოდნელია, რომ საგამომძიებლო პატიმრობაში ხანგრძლივი „დამუშავების“ შემდეგ მათ ალაპარაკებენ, რაც კაცებეს სურს.

ჩვენ, როგორც არა ერთჯერ ვთქვით, შეგვიძლია მათ მხოლოდ ის ვუთხაყვედუროთ, რომ თავიანთი ცდით სიკვდილის საფრთხე შეუქმნეს უდანაშაულო მგზავრებს და მათ შორის იქნებ უმანკო ბავშვებიც იყვნენ. გარდა ამისა, მათ სრული უფლება ჰქონდათ ხელისუფალთა ძალადობაზე ძალადობით ეპასუხათ. კარგადაა ცნობილი, რომ ისინი ბოროტი და მავნე ახალგაზრდები არ ყოფილან, პირიქით, კვლავ ცნობილი იყო, როგორც უადრესად მგრძობიერი, კეთილი, გამტანი, მოყვარული ნათესავების, მეგობრების, სამშობლოსი. უეჭველია, რომ მათ ექნებოდათ საპატიო მოტივი ასეთი სარისკო გადაწყვეტილებისათვის, ამას ჩვენ გავიგებდით მათი ცდა, რომ წარმატებით დავვირგვინებუიყო.

ახლა კი, მთავარი ისაა, რომ კაცებეს ანკესზედ არ წამოვეგოთ, იმ საბედისწერო ცდაში დაღუპულთ, თუ გადარჩენილთ და კაცებეს ხელთ მყოფთ, იმ ჩვენ შეილებს, დებს თუ ძმებს, ჩვენი პატივისცემა და თანაგრძნობა არ მოვაკლოთ...

კიდევ ვიმეორებთ: ისინი ჩვენი ღუხჭირი ყოფის მსხვერპლნი არიან, მსხვერპლნი უცხო დამპყრობელთა ტირანიისა.

გუშაგი



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს ე რ ო ვ ნ უ ლ ი გ ა ნ მ ა რ თ ლ ო მ ო
ფ ლ ე ბ ი ს ო რ გ ა ნ ი ზ ა ც ი ე ს ლ ი დ ქ რ უ ნ ი მ ი ე რ
გ ა ს ა მ ა რ თ ლ ე ბ ა *)

1984 წ. 15 თებერვალს საქ. სსრ უმაღლესმა სასამართლომ, მოსამართლე გერსამიას და ბრალდებულ სვანიშვილის მონაწილეობით, განიხილა საქმე №202 და მიუსაჯა: **ლავქარაშვილს ზაქარია კონსტანტინეს ძეს**, ყოფილი ტაქსის მძღოლი, დაბადებული **1954 წ.**, მცხოვრები: ქ. თბილისი, გომბორის ქ. **45, 5** წლით თავისუფლების აღკვეთა და ორი წლით გადასახლება, საქ. სსრ სისხ. სამართლის კოდექსის **71** პარაგ. პირველი ნაწილის მიხედვით, ა.ი. „ანტისაბჭოთა ავტაციისა და პროპაგანდისათვის“ და აგრეთვე „ანტისაბჭოთა ორგანიზაციის შექმნისათვის, რომლის მიზანი იყო „ბრძოლა საქართველოს დამოუკიდებლობისათვის, სსრკ-ს შემადგენლობიდან მისი გამოყენის გზით.“

იგივე საქმეზე ორ სხვა ბრალდებულს: **ღვინიაშვილს ტარიელ ნიკოს ძეს**, თბილისის მექანიკური ქარხნის ყოფილ მუშას, დაბადებულს **1960 წ.**, მცხოვრებს: თბილისი, გლდანის მასივი, მე-6-ე მიკრო-რაიონი, კორპ. **27**, ბინა **166**; **გოგბაიძეს გურამ შალვას ძეს**, ქ. რუსთავის სააღმშენებლო ტრესტის ყოფილ ეკონომისტს, დაბადებულს **1949 წ.**, მცხოვრებს: ქ. რუსთავი, ბლანჩივადის ქ. **4**, ბინა **4**, მიესაჯათ თითოეულს ოთხი წლით თავისუფლების აღკვეთა.

ამ საქმიდან გამოიყო ზოგიერთ ბრალდებულ პირთა ახალი საქმე, რომლებიც ამ პროცესზე მონაწილეობდნენ, როგორც მოწმეები. პირველ რიგში კი ეს ეხება თბილისის უნივერსიტეტის მეოთხე კურსის სტუდენტ ქალს, ივანე ჯავახიშვილის სტიპენდიის სტიპენდიანტს, **ტოტოჩავა ლამზირა მიხეილის ასულს**, რომელსაც აგრეთვე ელის თავისუფლების აღკვეთა, ზემოდ დასახელებულ პირებთან ერთად გეორგიევსკის ტრაქტატის **200** წლის თავის საწინააღმდეგო პროკლამაციების დამზადებისათვის.

საბრალდებულო დასკვნა [სისხლის სამართლის საქმე №202] ზაქარია ლავქარაშვილი, ტარიელ ღვინიაშვილი, და გურამ გოგბაიძე. **10** და **12** იანვარი **1984**.
ვამტკიცებ: საქ. სსრ პროკურორი-სათვის მეორე კლასის იუსტიციის სახელმწიფო მრჩეველი
ა. ბარაბაძე



ლაშქარაშვილს ზაქარია(ჯონი) კონსტანტინეს ძეს,
ღვინიაშვილს ტარიელ ნიკოლას ძეს და
გოგბაიძე გურამ შალვას ძეს

ბრალი ედებათ დანაშაუმი, რომელიც გათვალისწინებულია
საქ. სსრ. სისხლის კოდექსის 71 სტატიის 1 ნაწილით.

1983 წლის 26 მაისს, ქუთაისის ა. წულუკიძის სახელობის
პედ. ინსტიტუტის, ავტომექანიკური ტექნიკუმის და ნ. მუსხელიშვი-
ლის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის ეზოებში გავრცელებუ-
ლი იქნა ფურცლები ქართულ ენაზე, რომლებიც ხელით იყენ ნაბე-
ჭდი ასოებით შესრულებული და მერე ფოტოგრაფიულად გამრავლე-
ბული. ფურცლები შეიცავდენ მონაპორებს, რომლებიც ჩირქს ცხე-
ბდენ საბჭოთა სახელმწიფოს და საზოგადოებრივ წყობას და მის
წინააღმდეგ ბრძოლას მოუწოდებდა.

1983 წლის 31 მაისს, საქ. სსრ. კავებეს ორგანოების გამოძიებამ
აღძრა სისხლის სამართლის საქმე №196 და ეჭვის ნიადაგზე დააპა-
ტიმრა 1983 წ. 13 ივლისს ქ. თბილისში ლაშქარაშვილი ზ. კ. და
ღვინიაშვილი ტ. ნ. ხოლო 29 დეკემბერს დააპატიმრეს გოგბაიძე
გ. შ. გამოძიების პროცესში გამოირკვა, რომ ამ სამი ბრალდებუ-
ლის დანაშაული ცილდებოდა ანტისაბჭოთა პროკლამაციების გავრ-
ცელების დანაშაულს, რის გამოც შეიქნა ახალი სისხლის სამართ-
ლის საქმე №202. ამ საქმის ძიების დროს დადგინდა:

ზაქარია ლაშქარაშვილი ნაციონალისტურად იყო განწყობილი უკ-
ვე 1974 წლიდან. ამ დროს ის ჯარში იყო გაწვეული. მან გადა-
წყვიტა შეერჩია მეგობრები ორგანიზაციის დასაარსებლად, რომე-
ლიც მიზნად დაისახავდა საქართველოს დამოუკიდებლობას, სსრკ.-ს
შემადგენლობიდან გამოსვლის გზით. ამ მიზნით ის კიდევაც და-
უწყავშირდა რამდენიმე მეგობარს, ორგანიზაციას უწოდა „საქართ-
ველოს ეროვნული პარტია“, შეადგინა წევრებისათვის ფიცის ტე-
ქსტი, მაგრამ ჯარში ყოფნის დროს მან მაინც ვერ შეძლო ოპე-
რატიული ორგანიზაციის დაარსება.

სამხედრო სამსახურიდან დაბრუნების შემდეგაც ზ. ლაშქარაშვი-
ლს თავისი განზრახვა არ დაუტოვებია, პირიქით გააცხოველა
მას შემდეგ, 1979 წ. აპრილიდან, რაც მან მუშაობა დაიწყო
თბილისის ავტოტრანსპორტის საწარმოში და თავის ირგვლივ შე-
მოიკრიბა პოლიტიკური თანამგრძობები.

1981 წლის გაზაფხულზე ლაშქარაშვილმა შექმნა ჯგუფი, რო-
მელსაც უწოდა: „საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი“



ორგანიზაცია. მასში ჩააბა ღვინიაშვილი და გოგბაიძე, რომლებიც საპასუხისმგებლო მოვალეობებს ასრულებდნენ ორგანიზაციის შემდეგ სისტემატიურად ეწყობოდა ამ ორგანიზაციის წევრთა საერთო თუ ხელმძღვანელთა კრებები, რომლებზედაც წყდებოდა ფართო მოსახლეობაში მუშაობის გეგმები, დისციპლინის და კონსპირაციის საკითხები, საწევრო გადასახადის შეგროვება და სხვა. საწევრო გადასახადებიდან შემოსულ ფულს იყენებდნენ საბეჭდი და გასამრავლებელი მანქანების შესაძენად. პროპაგანდის საშუალებათა პასუხისმგებელი იყო **ტარიელ ღვინიაშვილი**. მასვე ებარა პოლიტიკური ლიტერატურის შენახვა. საწევრო გადასახადების შეკრებას და საბეჭდ მანქანის თუ ორგანიზაციისათვის სხვა საჭირო საგნის შეძენის საქმეს განაგებდა გურამ გოგბაიძე.

ტარიელ ღვინიაშვილის გაჩხრეკის დროს აღმოაჩინეს სხვათა შორის: ზაქარია ლაშქარაშვილის: „**სიმართლე, ბრძოლა და თავისუფლება**“. ამ წიგნში განმარტებულია თუ როგორ შეიყვანეს საქართველოს რესპუბლიკა სსრკ-ს შემადგენლობაში და მოწოდება ბრძოლისაკენ საქართველოს დამოუკიდებლობის განსახორციელებლად.

1983 წლის გაზაფხულზე იგივე ზ. ლაშქარაშვილმა მოამზადა ე.წ. ტრაფარეტები, რომლებზედაც გამოსახული იყო ფაშისტური სეასტიკა, რომლის ქვეშ დიდი ასოებით იკითხებოდა: „**ს.ს.რ.კ.: ფაშიზმი, რასიზმი, კოლონიალიზმი, რუსიფიკაცია**“ და „**ს.ს.რ.კ. — რუსეთის იმპერია**“ და სხვა, რომელთა გაკვრა გათვალისწინებული იყო ქუჩებში და მოედნებზე.

ასევე, 1983 წელში ზ. ლაშქარაშვილმა დაწერა ფიცის ტექსტი და წესდება „საქ. ეროვნულ-განმათავისუფლებელი ორგანიზაციის“, შეიმუშავა ალამი და სახელმწიფო ღერბი, მომავალ დამოუკიდებელ საქართველოსთვის და დაწერა წიგნი „**ვინ ვართ ჩვენ, ქართველები**.“

1983 წლის 26 ივლისს, ზ. ლაშქარაშვილმა მოიწვია „საქ. ეროვნულ-განთავისუფლების ორგანიზაციის“ საერთო კრება სოფ. **მამკოდში**. გამოძიების მიხედვით, ლაშქარაშვილი კრებაზე გამოვიდა ნაციონალისტური სიტყვებით, დამსწრეთ წაუკითხა ყველა მისი ნაწერები, მათ შორის წიგნი: „**ვინ ვართ ჩვენ, ქართველები?**“, აჩვენა მისგან შედგენილი ტრაფარეტები და აუხსნა, თუ როგორ უნდა იქნენ ისინი გამოყენებული.

ლამზირა ტოტოჩავას ჩვენებით, ლაშქარაშვილი ორგანიზაციის ხელმძღვანელი იყო და მისი დავალებით მან ღვინიაშვილთან ერთად დაბეჭდა ფურცლები მოწოდებისა „**გეორგიევსკის ტრაქტატის**“ 200 წლისთავის ზეიმობის წინააღმდეგ.

გამოძიების დასკვნაში ჩამოთვლილია 30 მოწმე: **ტოტოჩავა ლა-**

- *****
- მიზრია მიშას ასული —თბილისი, შატბერაშვილის ხევი, №8.
2. მაკიშვილი გივი ერდოს ძე —უნივერსიტეტის სტუდენტის ქორბუღისში, კორბუსი 2, ოთახი 93.
 3. ბეჟიტაშვილი მიხეილ ივანეს ძე —თბილისი, გლდანის მასივი, 6 მიკ. რაიონი, კორბ. 27, ბინა 149.
 4. გელენიძე — თბილისი, გლდანის მასივი, 3 მ. რ. კ.75, ბ. 40.
 5. ადვიშვილი ოთარ ვასილის ძე,—თბილისი, ლენინის სახ. ელექტრო-სააღმშენებლო დსახ., 2 მ.რ., 1 კვ. კორბ. 7, ბ. 20;
 6. კაპიანიძე ნაზიკო გიორგის ასული —თბილისი, გუმბათის ქ.22.
 7. კაპიანიძე ვია შაქროს ძე — თბილისი, გუმბათის ქ. 22.
 8. ღვინიაშვილი ნიკოლა მიხეილის ძე —თბილისი, გლდანის მასივი, 6 მ. რაიონი, კორბ. 27, ბინა 166.
 9. ნასარიძე ლეილა ისაკის ასული—თბილისი, გომბოტის ქ. 45.
 10. ახლოური გივი არსენის ძე—თბილისი, გლდან. მას., 6 მ.რ. კორბ. 21, ბინა 85.
 11. კვინიკაძე მალხაზ ნასყდას ძე —ქ. რუსთავი, ბალანჩივაძის ქ. №4, ბინა 21.
 12. მდინარაძე ამირან გუგულის ძე—თბილისი, ვარკეთილი, 4 მ. რ. კორბ. 1, ბინა 41.
 13. გოგუაძე ოლეგ შალვას ძე—თბილისი, დიდი ჯიხაიშის ქ.39.
 14. ხახვიაშვილი არჩილ ივანეს ძე —თბილისი, პიონერის ქ.79.
 15. ფირანიშვილი დავით ოთარის ძე—თბილისი, დსახ. „ტევზ“ 10 კვარტალი, კორბ.43, ბ. 33.
 16. სიღამონიძე ვასილ გიორგის ძე—ქ. გორი, კომკავშირელის ქ.10.
 17. ბაღდავაძე მარიამ მერაბის ას.—იმყოფება ბანაკში „სიზო“ №1.
 18. თარგამაძე ბაგრატ ლევანის ძე—თბილისი, დიდუბის ქ.4.
 19. ქვლივიძე პაატა ბლავარის ძე—თბილისი, სამტრედიის ქ.24.
 20. ფიცხელაური გიორგი გიორგის ძე—ყაზბეგის რაიონი სოფ. ყაზბეგი.
 21. მეგველია ნოდარ ლევანის ძე—მცხეთის რ.—ნი, ს. ბიწმენთი.
 22. მაისურაძე მიხეილ ვახტანგის ძე—თბილისი, 1 შეს. ულიანოვის, 16
 23. ქარჩავა შალვა ბიძინას ძე—თბილისი, ვ. ფშაველას პრ.45, კ.26.
 24. ჩიხლაძე სოსო ვახტანგის ძე—გეგექკორის რ. სოფ. გაჭედილი;
 25. გაფრინდაშვილი მალხაზ ანდროს ძე—თბილისი, სააკაძის ქ.61.
 26. პაპაშვილი მარიამ ზაურის ას.—თბილისი, ლიხავის ქ.1, ბ.6.
 27. ბიბიაშვილი თამაზ გიორგის ძე—გლდანის მას. ხევძმარის ქ.51
 28. ჯულაყიძე სულიკო სერგოს ძე—თბილისი, ზაპესი, ულიანოვის 14
 29. სიმონიან სერგო ბაღდასარის ძე—თბილისი, არაგვისპირელის 8
 30. კობახიძე გენადი გაიოზის ძე—თბილისი, ვ. ფშაველას პ., 3 კვ. კორბ.24, ბ.25;



საბრალდებულ დასკვნაში აგრეთვე ნათქვამია, რომ შვეიცარიის შვეილი თავიდან უკუაგდებდა ბრალდებას, მაგრამ ბოლომდე არ აღსრულდა იმის იძულებული გახდა ელიარებია, მხოლოდ თავს დამნაშავედ არ ცნობს; ტ. ღვინიაშვილმა თავიდანვე აღიარა და თავი დამნაშავედ ცნო; რაც შეეხება გ. გოგბაიძეს, მან ბოლომდე თავი დამნაშავედ არ ცნო და განაცხადა, რომ საბჭოთა ხელისუფლების მიმართ ის არასოდეს მტრულად განწყობილი არ ყოფილა, ის არ იღებდა მონაწილეობას საბჭოთა კავშირისადმი ცილისმწამებლურ და მავნე ლიტერატურის შედგენა-გავრცელებაში, მონაწილეობას არ ღებულობდა ლაშქარაშვილის ჯგუფის საქმიანობაში, კრებებზე არ გამოდიოდა და მოწოდებებს, საქართველოს სსრკ.-დან გამოსვლის შესახებ არ თანაუგრძობდა. მაგრამ, მოწმეთა ჩვენებით და მატერიალური საბუთებით გოგბაიძისადმი წაყენებული ბრალდებები სრულიად მტკიცდება.

ბრალდებულთა პირადობის მაჩვენებლები:

ლაშქარაშვილი ზაქარია(ჯონი) კონსტანტინეს ძე – დაბადებული 1954 წ. სოფ. დოესში, კასპის რაიონი, კომუნისტური პარტიის ყოფილი წევრი, საშუალო განათლებით, დროებით დაპატიმრების წინ არ მუშაობდა, მცხოვრები: თბილისი, გომბორის ქუჩა 45.

ღვინიაშვილი ტარიელ ნიკოლას ძე – დაბადებული 1960 წ. თელავის რაიონის სოფ. კისიხევში, საშუალო-ტექნიკური განათლებით, დაპატიმრების დროს დროებით არ მუშაობდა, მცხოვრები: თბილისი, გლდანის მასივი, 6 მიკ. რაიონი, კორპუსი 27, ბინა 166;

გოგბაიძე გურამ შალვას ძე – დაბადებული 1949 წ. სოფ. ზემო-ქედში, წითელწყაროს რაიონში, უმაღლესი განათლებით, დროებით უმუშევარი, ოჯახის მამა, კმაყოფაზე ჰყავს სამი მცირეწლოვანი ბავშვი, მცხოვრები ქ. რუსთავეში, ბალანჩივაძის ქუჩა №4, ბინა 4.

საბრალდებულ დასკვნა შედგენილია, საქ. სსრ კავბეს საგამომძიებლო სამსახურის მაიორის ტ. კუმბურაძის მიერ, 1984 წლის 10 იანვარს.

საბრალდებულ დასკვნას ამოწმებს თავისი ხელის მოწერით, საქ. სსრ კავბეს გამოძიების განყოფილების უფროსი, პოლკოვნიკი ა. მირიანიშვილი

*) (განმარტება: როგორც ეს აღნიშნულია, რადიო „თავისუფლების“ მიერ მოსკოვიდან მიღებული თვითგამოცემები ორიგინალების ფოტო-სურათებს წარმოადგენენ რუსულ ენაზე. ჩვენ თავისუფლად ვთარგმნეთ მთავარი აზრი, გამეორებების გარეშე. მიღებულ მა-

სალეზში საქართველოდან მოსული დოკუმენტები, ჩვენს მიერ უკვე
 ზემოდ მოცხანილის გარდა, კიდევია: 1. 6 ქართველის წერილი
 ი. ანდროპოვს, ვაზეთ „იზვესტიას“ და „პრავდას“-თბილისი, სექ-
 ტემბერი 1983 წ. 2. ქართველი პოლიტპატიმარ გოგბაიძის
 წერილი კაგებეს თანამშრომლებისაგან მისი დევნის შესახებ -
 ქ. რუსთავი, დეკემბერი 1983 წ. 3. ზვიად გამსახურდიას
 „განცხადება პრესისადმი“, თბილისი, მარტი 1984 წელი.

გურამ გოგბაიძის წერილი ეხება კაგებეს მოხელეების უხეშობას
 პოლიტპატიმრების დაკითხვის დროს, კერძოდ კი მაიორ ტ. ჭუმბუ-
 რიძისას მის მიმართ. საქართველოს საპატიმროებში ცნობილია
 გამომძიებელთა უხეშობა და ხშირათ სადისტური მოქცევებიც.
 ამ მხრით გოგბაიძის წერილში ახალი არაფერია, გარდა იმისა,
 რომ იგი, როგორც მისი წერილიდან ირკვევა, ვაეკატურად უხვ-
 დება: „...მან (გამომძიებელმა) მიპასუხა: ხვალ ისე მიგბეგვავენ,
 რომ ლაპარაკის უნარს დაგიკარგავენო. მე დარწმუნებული ვარ,
 რომ ეს ასე მოხდება, მაგრამ ისინი ვერ შეძლებენ გატეხონ ის
 ურყევი ქართული სული, რომელმაც ამდენი საუკუნეების გრიგალ-
 ებს გაუძლო“-ო. დანარჩენ 2 დოკუმენტზე კი ქვემოდ. გუშავი.)

ი. ანდროპოვს, ვაზ. „პრავდას“ და „იზვესტიას“:
 „მოსკოვის პოლიტიკა ქართველი ერის მიმართ“

როგორც ისტორიის მეცნიერებაშია ცნობილი, გასული საუკუნის
 დასაწყისში მოვიდა რა ამიერკავკასიაში სპარსეთის და თურქეთ-
 ის დამპყრობელებისაგან ერთმორწმუნე ქართველების დაცვის ლო-
 ზუნვით, რუსეთის სახელმწიფომ მაშინვე კურსი აიღო ქართველ-
 ბის რიცხვის ხელოვნურად შემცირებისაკენ ქართულ მიწა-წყალზე.
 სხვა ღონისძიებათა შორის, რომლებიც ამ მიზანს ემსახურებო-
 დნენ, იყო არაქართული მოსახლეობის მასიური დასახლებები გა-
 ნსაკუთრებით ნაყოფიერ საქართველოს კუთხეებში, ე. ი. მაგალი-
 თად ქვემო ქართლი(ამეამად გარდაბნის, მარნეულის, ბოლნისის,
 დმანისის, თეთრიწყაროს და წალკის რაიონები და ზოგიერთ იმ
 ქართულ ტერიტორიებზედ, რომლებიც ამეამად საქ. სსრ.-ს საზ-
 ღვრებში აღარ შედიან). იქმნენ შექმნილი მასივები: ა) რუსუ-
 ლი, ბ) გერმანული, გ) სომხური, დ) თურქულენოვან ბერძნების,
 ე) მაშინდელი ტერმინოლოგიით თურქო-თათრული, ახლანდელით
 აზერბაიჯანული მოსახლეობა, მაშინ როცა ქართლის სხვა რაიო-
 ნებში შექმნილი იქნა სომხური მასივები(ამეამად ახალქალაქის
 და ბოგდანოვსკის, ნაწილობრივად აგრეთვე ახალციხის და ასპინ-

დის რაიონებში) და ოსური (ამჟამად საქ. სსრ სამხრეთ რუსეთის ავტონომიური ოლქი) მოსახლეობა.

აზერბაიჯანული მოსახლეობა ამ ადგილებში გამოჩნდა მე-17-ე საუკუნის დასაწყისში, როცა ისინი აქ ჩამოასახლა შაჰ-აბას პირველმა, ომში გაწვეტილ თუ აჭილ ქართველ მოსახლეობის ადგილას. დარჩენ რა შემდეგ ქართველ მეფეთა ქვეშევრდომობაში, ისინი ეწეოდნენ მემთაბარულ მეცხოველეობას უამრავ შემოსევებისაგან განადგურებულ და გადაბუგულ ქართულ მიწებზე. ეს მოსახლეობა პროცენტულად ქართველებზე გაცილებით სწრაფად მრავლდებოდა, რადგანაც, როგორც მუსულმანები, ისინი არ ზარალდებოდნენ სპარსეთ-ოსმალთა გაუთავებელი შემოსევებისაგან.

რუსეთის შემოსვლის შემდეგ საქართველოში, ამ მომთაბარე მოსახლეობამ რუსეთის მთავრობისაგან მიიღო სარგებლობაში უკვე სახაზინო მიწები, რომლებიც ხაზინამ, ე.ი. სახელმწიფომ მიიტაცა საქართველოს სამეფო სახლისაგან, ადგილობრივ ქართველი თავად-აზნაურების, ანდა უბრალოდ დაკავებული და შემდეგ უკაღარ დაბრუნებული მიწები, რომლებიდანაც ქართველი გლეხობა გაიქცა და სხვაგან შეაფარა თავი სპარსელების უკანასკნელი შემოსევის დროს-1895 წელში.

ამგვარად, აზერბაიჯანების განაპირა მხარის მოსახლეობამ რუსული ადმინისტრაცია ისაგან სხვისთვის გაუზიარებელ სარგებლობაში მიიღო ქართული მიწა ისე, რომ არც არავისთვის რამე გადაუხდია და არც სამხედრო ან დიპლომატიური გამარჯვება არ მოუპოვებია, მაშინ როცა იგი განთავისუფლდა უკვე აღარ არსებულ ქართული ხელისუფლებისაგან. კიდევ მეტი, რუსულმა მმართველობამ ნება არ მისცა ადგილობრივ თუ არაადგილობრივ ქართველებს, რომლებიც უაღრესად საჭიროებდნენ მიწებს, არც დამახლეების, დაცარიელებულ ადგილებში, და არც თავისუფალი კონკურენციისა მიწის დასასაკუთრებლად.(მსგავსად იმისა, როგორც ცარიტული ადმინისტრაცია ქართველებს ნეტას არ აძლევდა საქართველოს შავიზღვის სანაპიროზე დასახლებისას.)

ამ შეგნებული ანტი-ქართული პოლიტიკის წყალობით, უმდიდრესი შავნიდაგიანი დაბლობი მიწები, რომლებიც გამოსადეგია ყველგვარ ინტესიურ მიწათმოქმედებისათვის, აღმოჩნდნენ მომთაბარე მეცხოველეთა ექსპლოატაციაში, იმის მაგივრად რომ ქეროდათ ქართველ გლეხებს, რომელთაც მიწათმოქმედების უმდიდრესი გამოცდილება გააჩნიათ და, რაც თავისთავად მოხდებოდა ბუნებრივი ეკონომიური განვითარების პირობებში.

რუსეთის მთავრობის ეკონომიურ ღონისძიებებზე, რომლებიც მიმართული იყვნენ ქართულ მიწა-წყალზე ქართველების შესავი-

წროებლად, მეტყველებს შემდეგი სტატისტიკა. **1828 - 1832** რუსულმა ადმინისტრაციამ შექმნა სომხების ეთნიური მასივი (იმ მიწებზე, საიდანაც მუსულმანი ქართველები თურქეთში გადაასახლეს) ახალქალაქის მაზრაში, რომელთაც საშუალოდ **40, 50, 100** დესეტინა მიწა მიცეს კომლზე საშუალოდ სოფლები და მიხედვით უსასყდლოდ, მაშინ როცა ადგილობრივ ქრისტიან-ქართველებს საშუალოდ კომლზე ჰქონდათ დაახლოებით **3** დესიატინა მიწა. ამის ანალოგიურად ქვემო ქართლში, გასული საუკუნის ბოლოს რუს გადმოსახლებულებს ჰქონდათ საშუალოდ **26,51** დესეტინა მიწა კომლზე (საუკეთესო მიწები), ბერძნებს **24** დან **69,69** დესეტინა კომლზე, თურქულ-თათრულ მოსახლეობას (ახლანდელ აზერბაიჯანელებს) - **24,53 - 47,62** დესეტინა კომლზე, გერმანელებს **16,82** დესეტინა მამრობით სქესის ერთ სულზე, მაშინ როცა იქვე მცხოვრებ ქართველებს გააჩნდათ **2,89 - 5,21** დესეტინა მიწისა კომლზე. ამევე დროს, **1873 - 1901** წლებში ერთ დესეტინა მიწაზე გამოსაღებს იხდიდნენ: ბერძნები **16** დან **35** კაპიკამდე, სომხები **18** დან **28** კაპიკამდე, გერმანელები საშუალოდ **22** კაპიკს, ქართველები კი **50** კაპიკიდან **1** მანეთსა და **30** კაპიკამდე. ასეთი დისკრიმინინზაციის შედეგად ამ ადგილებიდან მასიურად გადასახლდა ქართველი მოსახლეობა.

ცნობილია, რომ საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისთანავე, **1921** წლის თებერვალში, საქართველოს ჩამოაქრეს **13000** კვ. კმ. ტერიტორია, ე.ი. მთელი მისი ტერიტორიის მეექვსედი, რომლიდანაც მნიშვნელოვანი ნაწილი აზერბაიჯანს გადაეცა. ამის გარდა, აზერბაიჯანის შემადგენლობაში შევიდა ზემოდ დასახლებული აღმოსავლეთი კახეთი, თუმცა ამისთვის არ არსებობდა არც უფლებრივი, არც ეთნიური, არც ისტორიული საფუძვლები. მოსახლეობა აქ **50%** შეადგენს ქართველების მონათესავე დაღესტანელები (ავარები და ცახურები), **40%** - ორივე სარწმუნოების ქართველები, რომლებიც ქვეყნის მკვიდრ მოსახლეობას წარმოადგენს. მიუხედავად ამისა, საბჭოთა რუსეთის მთავრობამ, რომელმაც, **1920** წლის **7** მაისის საქართველოსთან დადებული ხელშეკრულებით, იცნო ეს ტერიტორია როგორც საქართველოს შემადგენელი ნაწილი, ვადასცა აზერბაიჯანს ის. რუსეთის ს. ფ. ს. რ. - მთავრობის ეს ნაბიჯი სხვა არა იყორა, თუ არა თურქეთისადმი დათმობა საქართველოს ეროვნული ინტერესების ხარჯზე, მუსულმანური აღმოსავლეთისადმი მეგობრობის დემონსტრაცია, იგივე ქართული ეროვნული ინტერესების ხარჯზე და მისწრაფება, რომ ამიერკავკასიაში შეექმნათ სამი დაახლოებით თანაბარი



ერთეული, ესე იგი ტერიტორიალური კომპენსაცია მიეცა აზერბაიჯანს მაშინდელი საქართველოს განვითარებითა და კადრებით, უპირატესობის გასათანასწორებლად. ქართველი ერისათვის ეს იყო კიდევ ერთი ისტორიული მამულები და მარცხება, რომელშიც გადამწყვეტი როლი ითამაშა რუსეთის მთავრობამ, ამჯერად საბჭოთამ.

იცინა რა, რომ აღნიშნული ტერიტორიების (აღმოსავლეთი კახეთი, ამჟამად ბელოკანის, ზაქათალის და კახის რაიონები) შეყვანას აზერბაიჯანის შემადგენლობაში არ გააჩნია არც საერთაშორისო უფლება, არც ეთნიური, არც მორალური საფუძვლები, აზერბაიჯანის ხელისუფლება 1921 წლიდან დღემდე, იყენებს რა სახელმწიფო აპარატის მთელ სიძლიერეს, მათ რიცხვში, მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს, განათლების სისტემას და ა. შ., აკეთებს ყველაფერს შესაძლებელს, რომ უმოკლეს ვადაში გააზერბაიჯანოს მხარე, ამ მიზნით მან: ა) ყველა მუსულმანის (როგორც ქართველები, ისე დაღესტანელები: ავარები და ცახურები) ნაციონალობა განსაზღვრა აზერბაიჯანულად. ბ) 1921 წლიდან, როცა შემოიღეს პასპორტები, აიძულა ქართველი-მუსულმანები მიეღოთ აზერბაიჯანული გვარები (შემდგარი მუსულმანური სახელების და რუსული დაბოლოვებებით) [იგივე გაკეთდა ქართველ-მუსლიმანებისთვის სამხრეთ საქართველოში—ახალციხის, ადიგენის, აწყურის, ასპინძის რაიონები—სადაც დეპორტაციის მომენტში 1944 წელში ისინი უკვე ითვლებოდნენ არა როგორც ქართველები, არამედ როგორც „აზერბაიჯანელები“ ანდა „თურქები.“]

ბ) ეკონომიური დისკრიმინაციის გზით, სამუშაოს მიუცემლობა, ქართულ-ქრისტიანულ სოფლებისათვის მიწების ჩამოჭრა, მკიდრო ქართულ დასახლებებში სახლების დანგრევა, ქალაქის შექმნის მომიზეზებით (კახი), ხილის ბაღებისა და ვენახების აჩეხვა, მცდელობა ხელის შეშლისა ქართველ-ქრისტიანთა ნორმალურად გამრავლებაში და მათი ყოველგვარი იძულება, მიატოვონ მამა-პაპების მიწა და გადასახლდნენ საქ. სსრ.—ში. ასეთი მეთოდებით მიაღწიეს, რომ უკანასკნელ 20 წელიწადში კახის მოსახლეობა არამც თუ რიცხობრივად არ გაიზარდა, არამედ ორჯერ შემცირდა.

დ) აღნიშნულ აზერბაიჯანის სამ რაიონში ფართო მასშტაბით ასახლებენ აზერბაიჯანელებს.

ე) საბჭოთა ხელისუფლების დამყარების დღიდან აზერბეიჯანში დღემდე, აზერბაიჯანის ხელმძღვანელობა ეწევა ბრძოლას ქართულ სკოლების წინააღმდეგ (უპირველესად სოფლებში, სადაც მუსულმანი ქართველები ცხოვრობენ). მათ რამდენჯერმე დახურეს ეს სკოლები, უკანასკნელად 1954-58 წწ. მოსახლეობის მრავალრი-

ცხოვან პროტესტების შემდეგ იძულებული იყვნენ ხელახლა განესაზღვრათ (მაგრამ მხოლოდ „ინტერნაციონალური“ სკოლის ქართული სექტორის სახით). 1961 წ. ძეგამის და ტასმალის სოფლებში ქართული სკოლები ისევ დაკეტილი იყვნენ. იმყოფებოდნენ რა ზემოდან მუდმივი დაწოლის მდგომარეობაში, ამ ორი სოფლის ახალგაზრდა თაობამ დაივიწყა მშობლიური ქართული ენა. 1982 წელში, მიუხედავად მოსახლეობის პროტესტებისა, ხელმძღვანელობამ დახურა სოფელ იტიტალას სკოლის ქართული სექტორი, ბელოკანის რაიონში.

რეპრესიების შიშით, აზერბაიჯანის ხელმძღვანელობა აიძულებს ქართველ-მუსულმანებს მისცენ ბავშვები აზერბაიჯანულ სექტორზე, ამავდროს ის ყველმხრივ აბრკოლებს ქართული სექტორების მუშაობას, რადგანაც არ უშვებს საქართველოს განათლების სამინისტროს არავითარ მონაწილეობას კადრებითა და მეთოდური სახელმძღვანელოებით მომარაგების ხაზით. ამის გარდა ის საბოტაჟს ეწევა ქართული სახელმძღვანელოებით სკოლების მომარაგებაში, წინ ელობება მათ შეტანას კერძო გზით, ხოლო მას, რასაც საქ. განათლების სამინისტრო უგზავნის, არ უშვებს მოწაფეებამდე.

ვ) ყოველი საშუალებით იზოლიაციას ახდენს აღნიშნული რაიონებისას საქ. სსრ.-დან, კრძალავს რა, არა მარტო საკონცერტო ბრიგადების, ლექტორების და სამეცნიერო ექსპედიციებს, არამედ ამეამად ექსკურსიებსაც კი. კრძალავს ქართული ფილმების შეტანას და ჩვენებას. მძლავრი ტელე-რელეური სადგურის აგების შემდეგ ზაქათალაში, ფაქტიურად შეწყდა მიღება თბილისის ტელეგადაცემების.

ზ) სპობს საშუალო-საუყუნეების ძეგლებს (რომლებიც ამ მხარეში მხოლოდ ქართულია). უკანასკნელად ააფეთქეს ტაძარი ძველ ბაზარში, 1971 წ. ზაფხულზე, ზაქათალის რაიონში.

ამის შემდეგ წერილში ჩამოთვლილია უფრო წვრილმანი ხასიათის, მაგრამ არა უმნიშვნელო ღონისძიებები, რომლებსაც აზერბაიჯანის ხელმძღვანელობა ანხორციელებს მისი ქართული მოსახლეობის დისკრიმინაციის მიზნით. ამ მხარის ქართველი მოსახლეობა არა ერთხელ მიმართავდა შუამდგომლობით სსრკ კ.პ. ცენტრალურ კომიტეტს, უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს, პარტიის ყრილობებს. 1967 წ. ქართველმა ინტელიგენციამ (160 ხელის მოწერით), ამ საკითხზე მიმართა ლ. ი. ბრეჟნევს, მაგრამ ყოველთვის უშედეგოდ, არც ერთს პასუხი არ მიუღია.

ასეთი ღონისძიებების შედეგად ადგილი აქვს ქართულენოვან მოსახლეობის კატასტროფულ შემცირებას ამ მხარეში. 1859 წ. აღწერის მიხედვით აქ 16 სოფელი იყო ქრისტიან და მუსულმან ქართველების, ამეამად კი სოფლები, სადაც მშობლიური ქართული

ენაა შენარჩუნებული მხოლოდ 7-ა. წილი ქართველებისა (ქართულად მოლაპარაკე) მხარის მოსახლეობაში მკვეთრად შემცირდა. საჭკობა, ხელისუფლების არსებობის პერიოდში, თუ დასაწყისში აქ მხოლოდ 15% იყო აზერულად მოლაპარაკე მოსახლეობის, დღეისათვის აზერბაიჯანელთა წილმა 75%-ს მიაღწია ქართველების ხარჯზე. ეს კიდევ ერთი ისტორიული დამარცხებაა ქართველი ერის, რომელიც განიცადა უკვე ჩვენი დროის ცენტრალური ხელისუფლების დანაშაულებრივი ნებაზე მიშვების სრული პოლიტიკის წყალობით.

წერილის უკანასკნელ, მეოთხე ნაწილში აღძრულია საკითხი თბილისის აღმოსავლეთით მდებარე ტერიტორიის, რომელიც უმთავრესად დასახლებულია აზერბაიჯანული მოსახლეობით. საბჭოთა ხელისუფლების განმავლობაში ეს მოსახლეობა განსაკუთრებით პრივილეგიურ მდგომარეობაშია საქართველოს სხვა კუთხეებთან შედარებით. ჯერ ერთი, აქ კოლექტივებში და სოფხოზებში იგივე საკარმიდამო ნაკვეთების პირობებში, რაც ყველა სხვა კუთხეში საქართველოსი, ნიადაგის განსაკუთრებული ნაყოფიერების და ერთმილიონიან თბილისთან სიახლოვის გამო, აქაურ გლეხებს ათჯერ მეტი შემოსავალი აქვთ წლიურად, ვიდრე საქართველოს რომელიმე სხვა კუთხის გლეხობასო. შემდეგ, ამ მხარეში თურმე ნებას არ აძლევენ სხვა კუთხეებიდან ქართველი გლეხების გადმოსახლებას და არც ქალაქ თბილისის ამ მხრით განვითარებას. საქართველოს ეკონომიური განვითარების აუცილებლობა კი მოითხოვს შეიქმნას სამკუთხოვანი მეგალოპოლისი: თბილისი-რუსთავი-მარნეული და თბილისის და რუსთავის მოსახლე მუშა-მოსამსახურეთ ამ თავისუფალ ადგილებში გამოეყთ ბალ-ბოსტნისათვის საჭირო საკარმიდამო მიწები. ეს პროექტიც აწვდება ცენტრის წინააღმდეგობას, რაც კიდევ უფრო ადასტურებს იმ ხმებს, რომ აქ სურთ შექმნან აზერბაიჯანული ეროვნული ერთეული, ნათქვამია.

„სამწუხაროდ, ამჟამად აზერბაიჯანული მოსახლეობით დასახლებულ საქართველოს რაიონებში პოლიტიკური მდგომარეობა დაძაბულია. მხედველობაში იღებენ რა, რომ საქ. სს რესპუბლიკაში თურქულენოვანი მუსულმანური ექსპანსია არ იზღუდება, ხედავენ, რომ არ არსებობს ავტორიტეტი, რომელსაც შეეძლებოდა და სურვილი ექნებოდა ელაპარაკნა ქართველი ხალხის ეროვნული ინტერესების სახელით, განიცდიან რა ბუნებრივ მიდრეკილებას ეროვნული თვითგავრცელებისა და თანაც იმედოვნებენ ხელისუფლების ყველაზე უმაღლეს ორგანოების მხარდაჭერას, თბილისთან მიმდებარე მხარის აზერბაიჯანული მოსახლეობა აშკარად (მათ შორის პეტიციის სახითაც) აცხადებს პრეტენზიას ქართულ ტერიტორიაზე, დაწყებული მონოპოლიზაციით ამ ტერიტორიის ხელმძღვანელი თანა-

მდებობების, და გათავებული საქართველოს სს რესპუბლიკისაგან ამ ტერიტორიის ჩამოცილებით. რიგ დათმობებისა რესპუბლიკის და სხვა ინსტაციებისაგან მათ უკვე მიიღეს. მათ მაგალითად მიაღწიეს 1970-ან წლებში, რომ არ დაეშვათ სპეციალური მექანიზმების საბჭ. მეურნეობის ჩამოყალიბება წითელ ხილთან(საზღვარი საქ. და აზერ. რესპუბლიკების). მანიფესტაციების შედეგად მიაღწიეს მარნეულის პირველი მდივნის ამხ. ენუქიძის როგორც ქართველის შეცვლას აზერბაიჯანელით (რამიც მათ მხარს უჭერდა, როგორც ეს ჩვენთვის ცნობილია, მოსკოვიდან მოსული 2 ამხანაგი) ამის გარდა, როგორც ჩვენთან მიაჩნიათ, მათ მიაღწიეს მაღალი თანამდებობის პირების მეშვეობით, კავშირის მთავრობისაგან მარნეულის ჩარხსაშენებელი ქარხნის აგებაზე უარის თქმას.

ამ პრეტენზიებზე დათმობა—დიდი იქნება ის თუ პატარა—არ შეიძლება. ქართველი ხალხის მრავალსაუკუნოვანი ისტორიის მთელი შინაარსი, რომლის ნაწილსაც წარმოადგენს მისი ცხოვრების დღევანდელი დღე, მდგომარეობს მისი ეროვნული ტერიტორიის დაცვაში მთლიანად და მასზე თავისი სუვერენიტეტის განხორციელებაში.

მხარის დაჭერა ასეთ დაჩემებებში—იქნებიან ისინი დიდი თუ პატარა—ქართველ ხალხს შეუძლია განიხილოს მხოლოდ, როგორც ხელყოფა მის ყველაზე სასიცოცხლო ინტერესებისადმი, ყველა აქედან გამომდინარე შედეგებით. პოლიტიკური ც.კ. კასს— საბჭოთა კავშირის მმართველი პარტიის— არის ქვეყნის უმაღლესი დირექტივების ორგანო, რომლის ძალაუფლება ვრცელდება მთელ სახელმწიფოზე. ამიტომ პასუხისმგებლობა, როგორც ისტორიის, ისე ჩვენი ერის წინაშე, სწორედ მათ მოეთხოვებათ ნაციონალურ ინტერესთა საერთო კურსის მიხედვით და ჩვენც, ჩვენი ხალხის მნიშვნელოვან საციცოცხლო საკითხებით მას მივმართავთ.

ხალხის სუვერენობა მის ისტორიულ ტერიტორიაზე, მათ შორის იმ ნაწილებზედაც(იქნება ეს რაიონი თუ სოფელი), სადაც ის რიცხობრივად უმრავლესობას არ შეადგენს, არ არის ისეთი რამ, რომლის უგულვებელყოფა შეიძლებოდეს. აქედან გამომდინარე ჩვენ მოვითხოვთ:

1. შეწყდეს ქართველების დისკრიმინაცია თბილისის აღმოსავლეთით მდებარე აღმოსავლეთ და სამხრეთ ტერიტორიაზე (პირველ რიგში—მარნეულის რაიონში). გაიხსნას ეს ტერიტორია ქართველ სოფლის მეურნეობათვის და თბილისის წარმოებისათვის.
2. დარიგდეს(მოსახლეობის საჭიროების მიხედვით) თბილისის და რუსთავის მშრომელებზე მასიურად საბოსტნე ნაკვეთები, ნახსენებ ტერიტორიაზე.
3. არ დაყენდეს სამკუთხა მეგალოპოლისის



თბილისი-რუსთავი-მარნეულის შექმნა, როგორც ამას მთლიანად რეკლამის ეკონომიური განვითარება.

ამის გარდა, რამდენადაც საკითხი ეხება საქართველოს სსრ ტერიტორიაზე ყველა ეთნიური ელემენტის უფლებათა დაცვას, ჩვენ მოვითხოვთ: 4) უზრუნველყოფილი იქნეს ორივე სარწმუნოების ქართველების ყველაზე ელემენტარული უფლებების აზერბაიჯანის სსრ ბელოკანის, ზაქათალას და კახის რაიონებში მცხოვრებთა, შეწყდეს ზემოდაღნიშნული გაქეღვა ქართველების ეროვნული და პიროვნული უფლებების (პირველ რიგში—განახლდეს მიღება სოფ. იტიტანოს სკოლის ქართულ სექტორზე, აღსდგეს ქართული შვიდწლედის კახის, შეწყდეს ბრძოლა საერთოდ ქართული სკოლის წინააღმდეგ), ორივე სარწმუნოების ქართველ მოსახლეობისათვისაც უზრუნველყოფილი იქნეს თანასწორობა სხვა ეთნიურ ელემენტებთან.

ქართველი ხალხი ცნობილია თავისი შემწყვლავლობით და კეთილსინდისიერებით არაქართველთა მიმართ. მას არ გააჩნია არც ერთი სხვა ხალხის მტრობა, მით უფრო, მის უახლოეს მეზობელ აზერბაიჯანთა მიმართ. მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ის თანახმაა ვინმეს გაუყოს თავისი მიწა, ან თავისი სუვერენობა მის ეროვნულ ტერიტორიის რომელიმე ნაწილზე. ქართველები, არა მარტო ერთი ერთაგანია, რომელიც სსრკ.-ში შედის, არამედ ერთ-ერთი ერიც, რომელიც შეადგენს მსოფლიო საზოგადოებას. თუ მისი ეკონომიური და პოლიტიკური უფლებების და ინტერესების შელახვა გავრცელდა, მაშინ მას აქვს უფლება, ჩვენი სახით, ან სხვა მისი წარმომადგენლების სახით, ეძებოს სამართალი მსოფლიოს ყველა ხალხების წინაშე.

რაც უფრო მალე მოეღება ბოლო პეტერბურგის ამიერკავკასიურ პოლიტიკის მიმდინარეობას, რომელიც მიმართული იყო, პირველ რიგში ქართველი ერის წინააღმდეგ, მით უკეთესი იქნება ამ რეგიონის მშვიდობისა და ჰარმონიისათვის.“

1983 წ. სექტემბერი

ხელს აწერენ:

- ნ. ნათაძე, მეცნიერებათა დოქტორი
- გ. თევზაძე, პროფესორი
- ზ. კიკვაძე, მეცნიერებათა კანდიდატი
- გ. კანკავა, მეცნიერებათა კანდიდატი
- მ. გამხარაშვილი, გადამდგარი ოფიცერი
- ი. დათუნაშვილი, აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტ.—ის თანამშრომელი



„გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა პ რ ე ს ი ს ა დ მ ი“

„1984 წ. იანვარ - მარტში რადიოსადგურ „თავისუფლება“-ს და „ამერიკის ხმა“-ს მიერ გადაცემა ზოგიერთი მასალა, საქართველოს პოლიტპატიმართა შესახებ და აგრეთვე ჩემი წერილი ი. ანდროპოვისადმი. რადიოსადგურების კომენტარებში ნათქვამი იყო თითქოს ეს მასალები მათ ჩემგან მიიღეს.

ვაცხადებ მთელი ჩემი პასუხისმგებლობით, რომ არასოდეს, არც ჩემს დაპატიმრებამდე, არც განთავისუფლების შემდეგ, არავითარი მასალა არ გამიგზავნია არც ერთი დასავლეთის რადიოსადგურისათვის, და თუ ზოგიერთი მასალა სსრ კავშირში გავრცელებული ხდებოდა ამ რადიოსადგურებში, ეს ხდებოდა ჩემგან სრულიად დამოუკიდებლად.

ეთიკური ნორმების დაცვა მოითხოვს, რომ ეს ჩემი განცხადება იქნეს გადაცემული აღნიშნული რადიოსადგურების მიერ.“

ხელს აწერს ზ. გამსახურდია. მარტი 1984.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა ო . ამ განცხადებიდან ცხადია, რომ ზ. გამსახურდია რადიო „თავისუფლების“ და „ამერიკის ხმის“ მიერ გადაცემულ მასალების არსებობასა და ზუსტად გადაცემას კი არ უარყოფს, არამედ მის მიერ მათთვის მიწოდებას. რამდენადაც ჩვენ ვიცით, ასეთი რამე არც გადაუციათ აღნიშნულ რადიოსადგურებს. მაშ, რად დასჭირდა კაგებეს ზ. გამსახურდიასგან ასეთი განცხადების გაკეთება? ალბათ იმის იმედი, რომ ცოტაც მაინც ეჭვები დაბადოს ამ რადიოების გადაცემების ქეშმარიტების თაობაზე. გუშაგი.

ს ხ ვ ა დ ა ს ხ ვ ა ა მ ბ ე ბ ე ე

26 მაისობა პარიზის სათვისტომოში

წელს 26 მაისი შაბათდღეს დაემთხვა. წინა დღით, 25-ში, ტრადიციულად, ყოფილმა მხედრებმა საუცხოო ცოცხალი ვარდების გვირგვინი დაადვეს უცნობ ფრანგ ჯარისკაცის საფლავზე და წმინდა ცეცხლი გააჩაღეს. მათ შეთხელებულ რიგებს ფართედ ავსებდნენ ჩვენი მანდილოსნები და ახალგაზრდები. იმავე საღამოს 8-9 ს. პარიზის წმიდა ნინოს ეკლესიაში შედგა მამულის დამოუკიდებლობის მოპოების, დაცვის, თუ კვლავ დაკარგულის ხალახ-



ლად მოსაპოებლად წარმოებულ ბრძოლების მსხვერპლთა მემორიალში თავის ქადაგებაში მოძღვარმა ილიამ ხაზი გაუსვა 26 მაისის დღესასწაულის დიდ ეროვნულ ხასიათს და ჩვენს, უცხოეთში გადმოხვეწილ ქართველების, მიერ ამ საზეიმო ტრადიციის წმინდად და ცოცხლად შენახვის ასევე დიდ მნიშვნელობას.

26 მაისის დღეს კი, საღამოს 9 საათიდან, პარიზის საავიაციო კლუბის სალონებში ჩატარდა დამოუკიდებლობის 66 წლისთავისადმი მიძღვნილი საზეიმო კრება და ვახშმიანი საღამო. ჩვენს ბედში მყოფ ერთა წარმომადგენლებიდან ზეიმში მონაწილეობა მიიღეს: ქალ. მონკლენმა (ესტონეთი), ბ. იაროსლავ ვერზალამ (ჩეხოსლო.), ბ. მიტროვიჩმა (უკრაინა), ცოლქმარმა სუჟანსკიმ (უნგრეთი), ცოლქმარი ტომკიუსებმა (ლიტვა), ბ. აჰმადი ეჰსანიულაჰ (აღღანეთი) და ბატონი რეი-გადმოხვეწილობაში პოლონეთის მთავრობის წარმომადგენელი საფრანგეთში.

ბ. ვიქტორ ხომერიკმა კრებას წაუკითხა მოლოცვის დებულები: სერჟ აფანასიანის, მეზობელ სომხების სახელით, ბულგარეთის განთავისუფლების მოძრაობის თავმჯდომარისაგან და საბჭოთა პერობლობაში მყოფ ერთა დელეგატებისაგან, რომლებიც ამჟამად შეკრებილი არიან ჟენევაში ადამიანის უფლებათა დაცვის თათბირზე.

ჩვენი სათვისტომოს თავმჯდომარე ბ. თამაზ ნასყიდაშვილმა თავის ომახიან სიტყვაში დამაჯერებლად აღწერა ისტორია 117

წლის განმავლობაში თვითმპყობელურ რუსეთის მპყობელობაში მყოფ სამშობლოს განთავისუფლებისა და დამოუკიდებელი რესპუბლიკური საქართველოს სახელმწიფოს აღდგენისა, რომლის არსებობაც თუმცა ხანმოკლე გამოდგა, მაგრამ მისი არც სიკვდილი, არც დავიწყება არ შეიძლება. თავისი სიტყვის დასაწყისში მან სიტყვა-სიტყვით შემდეგი განაცხადა:

„ერთხელ კიდევ, ჩვენ-ქართველებს ჩვენი სამშობლოს საზღვრებს გარედ გვიხდება 26 მაისის დღესასწაულობა! მერამდენედ უკვე წარმოითქმება ეს ნაღვლიანი სიტყვები 26 მაისის საზეიმო ვახსნისას, ჩემი წინამორბედი სათვისტომოს თავმჯდომარეებისაგან დასაწყისიდან დღემდე? აუცილებლად 60-ზე მეტჯერ, რადგანაც უკვე 63 წელია, რაც ჩვენი სამშობლო მტრის უღლის ქვეშ იმყოფება. ეს რიცხვი შეიძლება იყოს ჩვენი უიმედობის მიზეზი? არა, არ უნდა იყოს! პირიქით, პარადოქსალურად, რაც უფრო მეტი დრო გადის, მით უფრო დიდდება ჩვენი გადაწყვეტილება: ჩვენი სამშობლოს ძალით მიტაცებული თავისუფლების აღდგენისა,



„რაც დრო გადის, მით უფრო დიდდება ჩვენი, სამშობლოდან დასრული დმოხვეწილთა, მნიშვნელობა და როლი. იქ ჩვენმა წამებულმა, წამემამულეებმა უნდა იცოდენ, რომ აქ ჩვენ ვგუშავაობთ ჩვენს მებრძოლ სამშობლოს...“

სამხატვრო ნაწილში თავი გამოიჩინეს, ოთარ ჭატარაძის ხელმძღვანელობით, ეროვნული ხალხური სიმღერების გუნდის მომღერლებმა: ოთარ ზურაბიშვილმა, მიხეილ ვოდემ, კონსტანტინე კინსკიმ, მერაბ ოდიშელიძემ, ოთარ პატარიძემ. ქართულ ცეკვებში განსაკუთრებით დიდი მოწონება ხვდათ: მამა-შვილს ნიკო და ანიკო ჭავჭავაძეებს, და-ძმა ლია და მიხეილ გოგიტიძეებს, თინა ყფიანისას და თამაზ ნასყადაშვილს, სამივე წყვილმა წარმოგვიდგინეს ურთიერ განსხვავებული კეთილშობილური „დარბაისული“. და ბოლოს კი დიდი ტაში ხვდა ლიზიკო დავრიშაშვილს „კინტაურის“ მოხდენილად შესრულებისათვის.

დამსწრე

გაზეთი „ლე მონღ“-ი ჩერნენკოს ჯანმრთელობაზე

„ბ. ჩერნენკოს შეუძლია შეასრულოს საბჭოთა კავშირის ნომერ პირველის თანამდებობა, როგორც ამას ირწმუნებიან ბბ. მიტერანი, შეისონი და სხვა ფრანგი დიპლომატები, მოსკოვში ვიზიტად ყოფნიდან დაბრუნებულნი? თუ ის განწირულია თავისი ხნით და ავადმყოფობით და სხვა არაა რა, თუ არა „პირობითი პაპი“, უკვე სგრძნობლად დაკნინებული? პასუხი უფრო მეორე თეზისისაკენ იხრება. მართალია, რომ გენერალური სეკრეტარის აზრი საერთოდ საკმაოდ გასაგებია მის მიერ წარმოთქმულ სიტყვებში. ის იძულებული არ არის ყოველთვის წინასწარ მომზადებული მონოლოგები იკითხოს,—თუმცა ის მას ხშირად მიმართავს, მათ შორის თვით საპირდაპირო შეხვედრების დროსაც კი,—და აზრთა ვაცვლა-გამოცვლა მასთან საუბრისას შესაძლებელია.

დავუშვათ, რომ მისი ტვინი აგრეთვე ნორმალურად ფუნქციონირებს, როგორც ამას ირწმუნება, თუნდაც ზრდილობის წესით, მისი ფრანგი თანამოსაუბრენი. რჩება მაინც, რომ მიტერანის ვიზიტის დროს თვალში საცემი იყო ჩერნენკოს მეტისმეტი სისუსტე. ბ. ჩერნენკო საჭიროებს ორ დამხმარეს კიბეზე ასვლის და ჩამოსვლისას, მხოლოდ „ბრტყელ ნიადაგზე“ იძენს ავტონომიას, რომლის დროსაც

ის ნელი და პაწაწინა ნაბიჯებით დადის, ფეხებს მიათრევს და გიდაზე ხელების მძიმედ დაწოლით, გაჭირვებით ჯდება. ლას ესმის მისი გულამოვარდნილი სუნთქვა, ფილტვების ხრიალი, სტვენა, ყოველი გადაადგილების თუ სიტყვის შემდეგ.

ერთმა ექიმმა, რომელიც დასავლეთის ერთ ვიზიტორს ახლდა კრემლში, შეძლო საკმაოდ ახლოს მისულიყო გენერალურ მდივანთან და მხედველობით საკმაოდ კარგად შეესწავლა მისი ავადმყოფობა. მან დაითვალა 40 სუნთქვა წუთში, რაც ორჯერ მეტია ნორმალურზე და დაადგინა კვლა ნიშანი წინ წასული ამფიზემის: მკერდი და ზურგი გამობერილი, ფილტვების გაფართოება აწვევა ყოველმხრივ გულის ღრუს. ქვედა ტუჩი გალურჯებული აქვს, ნიშანი „სიანოზის“, რომელიც ხშირად თან ახლავს „ამფიზემს“, ავადმყოფს მუდამ ჰაერი აკლია, რაც ხსნის იმ გრძელ პაუზებს, რომელთაც ჩერნენკო აკეთებს თავისი მოხსენებების წარმოთქმის დროს. მისთვის აუცილებლად საჭიროა, რომ თავიდან აიშოროს ყოველგვარი დაღალვა, ენერჯის დახარჯვა. ის ალბათ ღამით ძილის დროს საჭიროებს შეავბადის ნიღაბს, ანდა კარავს და შესაძლებელია მისი ყოველი აქტიურობის შემდეგ.

ამ სპეციალისტის წინასწარმეტყველება პესიმისტურია: ამ ხანში, ავადმყოფს, რომელსაც ასე წინ წასული ამფიზემი აწუხებს, აქვს მხოლოდ „რამდენიმე წლის“ გაძლების შესაძლებლობა, დაახლოებით ორი წლის ირგვლივ: და კიდევ უფრო ნაკლები საჯარო ცხოვრებისა, რადგანაც ის შეიძლება მსხვერპლი გახდეს სულ მცირედი გაციებისა. მისი გული გადაღლილია შეავბადის მუდმივი უკმარისობის გამო—ყოველი თვითმფრინავით მგზავრობა, რაც გამოიწვევს ატმოსფეროს წნევის შემცირებას და, რაც კიდევ უფრო გააძლიერებს ჟანგბადის უკმარობას,—მას შეუქმნის სიკვდილის საშიშროებას. მართლაც, ჩერნენკოს თვითმფრინავი არ აუღია, მას შემდეგ, რაც ის უმაღლესი ხელისუფალი გახდა გასულ თებერვალში.

აქედან შეიძლება დავასკვნათ, რომ საბჭოთა სახელმწიფოს და კომპარტიის ხელმძღვანელი მართლაც „პირობითი“ მეთაურია და, რომ საბჭოთა დიპლომატია გარკვეული დროით რჩება ისევ დავლად აცემული, ისე როგორც ის იყო ბრეჟნევის ავადმყოფობის უკანასკნელ შეიდი წლის განმავლობაში. უნდა ითქვას, რომ ბრეჟნევი მა, რომელიც 18 წლის განმავლობაში ფლობდა ხელისუფლებას, შეიძინა საერთაშორისო მდგომარეობის დიდი გამოცდილება, რაც მას ნებას აძლევდა დრო და დრო მაინც მისთვის მიეცა საჭირო გაქანება, მაშინ როცა ჩერნენკო ამასაც მოკლებულია. დღეს გრომიკოს უკან აღარავინ უდგას. აქედან მოდის მისი განსაკუთრებუ-

ლი როლი საგარეო პოლიტიკაში. აქედან მოდის აგრეთვე ეს უკიდურესი ყოფითი ანაბეჭდი, რომელსაც ამ პოლიტიკას ამჩნევს, ძველ-გაქრისა მოცდილი ჩემპიონი პოლემიკისა და „ნიეტ“-ისა.

„Le Monde“ 5.07.1984.

დასავლეთ - აღმოსავლეთი

რუსეთის საბჭოთა რეჟიმსა და გერმანიის ნაციონალ-სოციალისტურს შორის მსგავსება თვალში საცემი და მრავალმხრივია. განსხვავება კი საერთაშორისო არენაზე იმაში მდგომარეობს, რომ ერთი და იგივე პიროვნული კულტის და მსოფლიოზე გაბატონების საბოლოო მიზნის მქონეთ-საბჭოთა რუსეთს განუსაზღვრელი დრო გააჩნია, მაშინ, როცა ნაციონალ-სოციალისტურ გერმანიას, რომელიც ჰიტლერის კულტით იყო განპირობებული, ან ჰიტლერთან ერთად უნდა გაემარჯვნა, ანდა მასთან ერთად უნდა დაღუპულიყო, და დაიღუპა კიდევაც.

კრემლს მსოფლიოს გასაბჭოების ძირითადი სტრატეგია დიდხანია ერთხელ და სამუდამოდ აქვს ჩამოყალიბებული. განსაზღვრულ დროში კი საჭიროების მიხედვით მასში შეაქვთ უმნიშვნელო ტაქტიკური ხასიათის შესწორებები. ლენინს სტალინი ცვლის, სტალინს ხრუშჩოვი, ამ უკანასკნელს ბრეჟნევი და ა.შ. არც ერთს არ ეჩქარება საბედისწერო შეჯახება, რადგან ისინი დარწმუნებული არიან, რომ დრო მათ სასარგებლოდ მუშაობს.


ხასიათის ამ განსხვავებით აიხსნება ის ფაქტი, რომ, თუმცა არაფერს თმობენ, საბჭოთა ხელისუფალნი უკანასკნელ წუთში, ყველშემთხვევაში ღდემდე, თავს იკავებენ გამოუსწორებელი ავანტიურისაგან, მაშინ, როცა ჰიტლერმა თავი ვერ შეიკავა და უანგარიშოდ გადაეშვა ყველმხრივ ომში.

საბჭოთა დიპლომატია დარწმუნებულია, რომ დიდი მსხვერპლის მოლოდინის პირობებში, დასავლეთის დემოკრატიული ხელისუფლები არამც და არამც მას ომს არ გამოუცხადებენ. მუდმივად თავდაცვაზე მყოფ მოწინააღმდეგესთან კი მანევრების წარმოება ძალიან ადვილია. ამ მანევრების მოწმენი ვართ ჩვენ ამ უკანასკნელი ორმოცი წლის განმავლობაში, დღიდან მეორე მსოფლიო ომის დამთავრებისა.

ამერიკის შეერთებული შტატები მარტოდ-მარტო ფლობდენ ატომურ ბომბებს, რითაც მათ შეეძლოთ იაპონიის მსგავსად ნებითი

სახელმწიფოს დაჩოქება, მათ შორის საბჭოთა სახელმწიფოს სტალინის რუსეთმა დროს დაუკარგავად იგრძნო სასიკვდილო საფრთხე და თავხედურად დაცვის მავივრად შეტევაზე გადავიდა. მან საერთაშორისო გასამართლება მოუწყო ამერიკის მაშინდელ ადმინისტრაციას ჰიროშიმასა და ნაგასაკში ჩამოგდებული ატომური ბომბების გამო და წლების განმავლობაში შექმნა საერთაშორისო საზოგადოების მორალური კრიზისი ატომური იარაღის გამოყენების წინააღმდეგ. ამერიკის მორალური სინდისის ქუჩჯანა წლები გაგრძელდა, რის განმავლობაშიც, ჯამუშობის თუ საკუთარი მეცნიერების წყალობით, ზუსტად რომ ვთქვათ, ორივე საშუალების შეხმატკბილებით, საბჭოთა კავშირმაც შეძლო ატომური იარაღის დამზადება. ამის შემდეგ კრემლის პროპაგანდამ თავი დაანება ჰიროშიმასა და ნაგასაკის ფერფლებზე მისი კოკოდლის ცრემლების ფრქვევას და იწყო „მშვიდობიანი თანაარსებობის“ მტრელების ფრენა მსოფლიოში. საქმე იმაში იყო, რომ საბჭოები, მიუხედავად ატომური ბომბების ქონებისა, დიდად ჩამორჩებოდა თერმო-ბირთვული გამანადგურებელი იარაღის რაოდენობით და ხარისხით ამერიკას. აქაც, დროს მოსაგებად, სტალინის პოლიტიკურმა შემკვიდრებმა, მოწინააღმდეგის ნებისყოფის მოსადუნებლად გააჩაღეს ყოველმხრივი კამპანია ცნობილი დეტანტის სასარგებლოდ, რომელიც გულისხმობდა ომისაგან თავის შეკავებას, ვაქრობისა და მისვლა-მოსვლის გაცხოველებას, შეიარაღების შეზღუდვის მიზნით მოლაპარაკებებს, რომლის საბოლოომიზანიც იქნებოდა სრული და საყოველთაო განიარაღება..

როგორც ახლა უდავოდაა დადგენილი, საბჭოთა მხარემ მაქსიმალურად გამოიყენა უკანასკნელ 20 წლის განმავლობაში შექმნილი მშვიდობის ილუზიები და ჯერ გაუგონარ სიმაღლეზე აიყვანა საკუთარი სამხედრო ძალების ყოველმხრივი განვითარება. ამჟამად უკვე ლაპარაკია არა თანაბრობის შენარჩუნებაზე, არამედ, რომ საბჭოთა კავშირს, როგორც კლასიკური, ისე თერმო-ბირთვული იარაღის უპირატესობა დაუწესდეს და დაუკანონდეს. ამაში მდგომარეობს უკანასკნელი სამი წლის საერთაშორისო განგაში. დანარჩენი კი, როგორც მაგალითად ამერიკული პერშინგების რაკეტების შემოტანა დასავლეთ ევროპის სამხედრო ველზე, მიზეზებია, რომლებიც იმ გაუმხელელ მთავარს ემსახურებიან. ამ სრულიად უსაფუძვლო მიზეზით, საბჭოთა ხელისუფლებმა გასულ



წელს მიატოვეს, როგორც საშუალო სიშორის ბირთვულ იარაღებზე, ისე კლასიკურ იარაღების შეზღუდვაზე წარმოებული მოლაპარაკებები და იმუქრებიან: თუ უკან არ წავიღიათ თქვენი ევროპაში მოტანილი პერშინგები, თქვენთან მოლაპარაკებას აღარ განვაახლებთ. ცხადია: როცა საკითხი ეხება სუვერენ სახელმწიფოთა შორის რაიმე ხასიათის მოლაპარაკებას, ყოველგვარი ულტიმატუმი გამორიცხულია, მაგრამ განა შეიძლება, რომ ეს ანბანური ჭეშმარიტება საბჭოთა პოლიტიკის გამგებლებს შეეაგებინონ?

მათ არ სურთ შეიგნონ, რადგანაც მიაღწიეს რა უპირატესობას, ახლა ისინი იმედოვნებენ დასავლეთის ცალმხრივ განიარაღებას. სიმართლე უნდა ითქვას, რომ მათ კიდევაც გამოუჩნდნენ თანამშრომლები დასავლეთში, არა მარტო კომუნისტ-პაციფისტებში, არამედ სოციალისტურ წრეებშიაც და, თქვენ წარმოიდგინეთ, პრეტესტან პასტორთა შორისაც, რომელთა არგუმენტით „სახარებაში ლაპარაკი არ ყოფილა ბირთვულ ომზე?“!

ამეამად აღმოსავლეთ-დასავლეთს შორის ურთიერთობა შემდეგშია: 12 ივნისს პენტაგონმა საჯაროდ გამოაცხადა, რომ სახმელეთო არმიის მიერ ჩატარებული ცდების შედეგად მიღწეულია „სატელიტების საწინააღმდეგო“ იარაღი. ეს იარაღი ჩანს მსგავსი ავიაციის საწინააღმდეგო საჰაერო არტილერიის, მას შეუძლია მტრის ბირთვული ბომბები ააფეთქოს, როგორც კი ისინი შეიჭრებიან სამიზნე ობიექტის ატმოსფეროში, სანამ ის საშიშ მანძილამდე მიუახლოვდებოდეს მას.

რა თქმა უნდა, ეს ახლად გამოგონილი იარაღი, რომ ოპერატიული გახდეს, წლებია საჭირო, ხოლო საბჭოთა კავშირი ამ დარგში ჯერ-ჯერობით ჩამორჩენილი ჩანს, ამიტომ ჩერნენკოს დრო არ დაუკარგავს და ამერიკისავე ჟურნალში, იმავე დღეს ინტერვიუს სახით განაცხადა: საბჭოთა კავშირი მოითხოვს დაუყოვნებლივ დაიწყოს მოლაპარაკება „კოსმოსის დემილიტარიზაციის“ შესახებო. ჩერნენკოს უკანასკნელი მანევრი ბრიჯისთვისაც ცხადია, მაგრამ პრეზიდენტი რეიგანი თითქოს ამას ვერ ამჩნევდეს, წინადადებას დაუყოვნებლივ ლებულობს ყოველგვარი წინასწარი პირობის გარეშე, მხოლოდ თავდაბალ სურვილს გამოთქვამს, რომ ამასთან ერთად, იქნებ ჟენევის და ვენის მოლაპარაკებებიც ჩაგვერთოთ, რაზედაც ტასის სააგენტომ დაუყოვნებლივ „ნიეტ“-ით უპასუხა. რაშია საქმე? საქმე იმაშია, რომ ამერიკა წინა-საარჩევნო კამპანიის ხანაშია და პრეზიდენტობის კანდიდატ პრეზიდენტი რეი-



განსაც ალბათ ესაქიროება ზომიერი პოლიტიკოსის რეპუტაციის ქონება. უზუნაესი მსაჯული კი წელს ამერიკელი ხალხია, რომელზეც გავლენის მოხდენა აქვს გადაწყვეტილი კონსტანტინ ჩერენკოს თავისი დიპლომატიით და საპროჰაგანდო დივიზიებით. მისი თამაში ბრმებისთვისაც თვალსაჩინოა: ყველა, გარდა რეიგანისა! 6 ნოემბერს გვეცოდინება ამერიკის ამომრჩეველთა განაჩენი.

პაპუნა ლუბაშვილი

ე რ ი ს ც ხ ო ვ რ ე ბ ი ს კ ვ ა ლ ი ს დ ა მ ჩ ნ ე ვ ი

ა კ ა კ ი ჩ ხ ე ნ კ ე ლ ი : დაბადებიდან 110 წ.

(დასაწყისი იხ. პირველ ნომერში)

დუმაში ყოველთვის ქართველი სოციალისტ-დემოკრატი მეთაურობდა სოციალისტების ფრაქციას. ასე იყო ირაკლი წერეთლის დროს, კარლო ჩხეიძის დროს და ასეთივე როლი ხვდა აკ. ჩხენკელსაც. აკ. ჩხენკელმა დუმაში განსაკუთრებით გაითქვა სახელი 1914 წ. სამხედრო ბიუჯეტის წინააღმდეგ გამოსვლის შემდეგ. თავიდან კერძო რენსკის შეთავაზეს ამ განცხადების გაკეთება, მაგრამ მან უარი თქვა, რის შემდეგაც აკ. ჩხენკელს დაავალეს, რომელსაც მხარი დაუჭირეს ყველა მემარცხენე დეპუტატებმა. ამის გამო განრისხებულმა მთავრობამ საკრებულო გარეკა. აკაკი ჩხენკელი მაინც განაგრძნობდა თავის დეპუტატის ადგილზე ჯდომას. როცა ორი ვისიე დაადგა თავზე და ძალით გაყვანა მოუნდომეს, აკაკიმ განუცხადათ: „ძალას ვემორჩილებიო.“ ეს სიტყვები მთელმა რუსეთის იმპერიამ გაიგონა!

მსოფლიო ომის დასაწყისში რუსეთს საკმარისი ჯარი არ ყავდა თურქეთის წინააღმდეგ, რის გამოც ოსმალებმა დიკავეს სარაკაშიში, წინ მოიწვედნ და შეიქნა საშიშროება, განსაკუთრებით აჭარაში. სიფრთხილის მიზნით, სამხედრო მინისტრის თანხმობით, აჭარლები აჭყარეს და ეშალონებს ამზადებდნ მათ გადასასახლებად. გაიგო თუ არა ეს აკ. ჩხენკელმა, როგორც დუმის დეპუტატმა დაუყოვნებლივ აღძრა შუამდგომლობა ქუთაისის და ბათუმის გენერალ-გუბერნატორებთან. აკაკის შუამდგომლობამ გასჭრა და აჭარლებს ნება დართეს თავ-თავიანთ სახლებში დაბრუნებულიყვნენ, მაგრამ ამ ხნის განმავლობაში კაზაკებს მათი სახლები სულ გაეძარცვათ. მაშინ, აკ. ჩხენკელმა შეადგინა „აჭარლების დამხმარე კომისია“, რომელშიაც შევიდნენ: სიმონ მღვიანი(თავმჯდომარე)

კოწია საბახტარაშვილი და მამედ აბაშიძე. ამ კომისიამ მთელი საქართველოში შეკრიბა შემოწირულებები. მთელი საქართველო გულუხვად გამოეხმაურა ამ საქმეს.

აკაკი ჩხენკელის ეროვნული მოღვაწეობა ფრთებს შლის განსაკუთრებით რუსეთის 1917 წლის თებერვლის რევოლუციის შემდეგ. კერენსკის დროებითი მთავრობა აკაკი ჩხენკელს ნიშნავს ამიერკავკასიის კომისარიატის წევრად, ხოლო, როცა პეტროგრადში ბოლშევიკების გადატრიალების შემდეგ ამიერკავკასიის დამოუკიდებლობა გამოცხადდა, აკ. ჩხენკელი გახდა მისი პირველი მთავრობის პირველი თავმჯდომარე. ამ დროს აკ. ჩხენკელმა დიდი დახმარება გაუწია ჯერ საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის დამოუკიდებლობის საქმეს, მერე კი თბილისის უნივერსიტეტის დაარსებას.

როცა თურქეთმა 1918 წლის აპრილის დასაწყისში შემოგვიტია, აკ. ჩხენკელი საზავო დელეგაციას მეთაურობდა ტრაპიზონში. ამ ომში ამიერკავკასია შეკავშირებული ვერ დარჩა: აზერბეიჯანელები თურქეთს უჭერდნენ მხარს, სომხები რუსეთისაკენ იყურებოდნენ, მართო ქართველები შერჩენ მტრის პირისპირ. ოსმალთა აიღო ბათუმი ართვინი და ახალციხეზე მოგვადგა. 5 აპრილს მდინარე ჩოლოქთან ჩვენმა ჯარმა გენერალ მაზნიაშვილის სარდლობით თავი ისახელა და მტერი უკუაგდო. ამ ბრძოლაში გამირობა გამოიჩინა განსვენებულმა ვალოდია გოგუაძემ და თავი ისახელა თბილისის საგანგებო ბათალიონმა, რომლის რიგებში მეც ვიბრძოდი. ჩოლოქის მარცხის შემდეგ ოსმალთა იკადრა დროებითი ზავი და საზავო მოლაპარაკებაზე თანხმობა.

21 აპრილს მთავრობის სასახლეში გამომიძახა ვალიკო ჯუღელმა და მიბრძანა, ორი გვარდიელით ნოე ჟორდანიას უნდა ვააცილო ბათუმში. მე სასწრაფოთ შევეკრიბე ჩემი მეგობრები ბიქტორ ბაქრაძე, ნიტრიფონე გეგეშიძე, ჩავიბარეთ საჭირო ქაღალდები და გავედით ვაგზალში, სადაც ბ. ჟორდანიას ახლდნენ ბბ. გიორგი გვაზავა და ფილიპე გოგიჩაიშვილი, ნატანებში თურქმა მხედრებმა გავვიშინჯეს ქაღალდები, აქედან კი დაუბრკოლებლად ჩავედით ბათუმში. ბათუმის ქალაქის თავი იყო კოწია საბახტარაშვილი და მასთან შეიკრიბნენ საზავო დელეგაციის წევრები და ნოე ჟორდანიას თავის გამყოლებით: აქ იყვნენ: ნ. ჟორდანიას, აკ. ჩხენკელი, გ. გვაზავა, ფილიპე გოგიჩაიშვილი, ნიკო ნიკოლაძე, ზურაბ ავალიშვილი. აი, აქ ამ დროს გადაწყდა საქართველოს



დამოუკიდებლობის გამოცხადება.

ბათუმიდან თბილისში დაბრუნებულმა ნ. ჟორდანიამ ^{ნიკოლოზ}~~ნიკოლოზი~~
ნკელმა დამოუკიდებლობის გამოცხადების საჭიროებისათვის მოხსენებები გააკეთეს ჯერ ცეკაში და შემდეგ თბილისის ქალაქის სარაიონო კომიტეტებში. თბილისი იყოფოდა ექვს რაიონად. მე შევიდოდი მესამე რაიონის კომიტეტში, ავღაბრის რაიონში. თბილისის მუშები ყველთვის აძლევდნ მაგალითს მთელ საქართველოს მუშათა ორგანიზაციებს. ასევე მოხდა ახლაც, თბილისის მუშები აღფრთოვანებით შეხვდნ ნ. ჟორდანიას მოწოდებას და მოითხოვდნ თავიანთ რეზოლუციებში: გამოაცხადეთ დამოუკიდებლობა, მთელი ჩვენი ძალებით თქვენთან ვართო.

ჩვენი დამოუკიდებლობის გამოცხადების დეტალები ყველასთვის ცნობილია და აქ ამაზე თქვენ ჟურნალს აღარ შევჩაჩერებ, ვიტყვი მხოლოდ, რომ დამოუკიდებელი საქართველოს პირველ მთავრობაში, რომლის თავმჯდომარედ ნოე რამიშვილი იქნა არჩეული, აკ. ჩხენკელს საგარეო საქმეთა მინისტრის საპატიო თანამდებობა დაევალა. როგორც ასეთი, აკ. ჩხენკელი თავმჯდომარეობდა საქართველოს საზავო დელეგაციას თურქეთთან, ხოლო მას შემდეგ, რაც გერმანიის შუამავლობით თურქეთის ჯარების შეკავება მოხერხდა, თურქეთის მთავრობასთან კი ზავის პირობები შეიქნა, აკ. ჩხენკელის მეთაურობით გერმანიის მთავრობასთან მოსლაპარაკებლად გაიგზავნა დელეგაცია, რომელშიაც შედიოდნ: ბბ. ნიკო ნიკოლაძე, ზურაბ ავალიშვილი, სპირიდონ კედია, კოწია გვარჯალაძე.

ერთხელ პარიზის ლეგაციაში, შემდეგი საინტერესო ამბავი მომიყვა აკ. ჩხენკელმა: როცა გერმანიის საგარეო სამინისტროში გვქონდა მოლაპარაკება, ნიკო ნიკოლაძემ გერმანელებს უთხრა: რათ შევებით ისეთ პოლიტიკას, რომ მზე, რომელიც საქართველოში ამოდის, თქვენ მას ოსმალებს უთმობთ, მოდით ჩვენთან და ამ მზეზედ ორივე ერთად გავთბეთო. როცა გერმანიის მთავრობასთან მოლაპარაკება ჩვენდა სასურველად დამთავრდა, ნიკო ნიკოლაძეს წამოუძახნია: **საქართველო ხრამს, ხრამს და კიდევ გამოხრამსო**. მითხრა აწ განსვენებულმა აკაკიმ.

გერმანია დამარცხდა, მოკავშირეებმა გაიმარჯვეს... ნოე ჟორდანიას გამჭრიახობით აქაც გამოსავალი მოინახა და ვერსალის საზავო კონფერენციაზე, საქართველოს დამოუკიდებლობის ცნობის მისიით მიაღწინა დელეგაცია, რომელსაც კარლო ჩხეიძე და ირაკ-



ლი წერეთელი მეთაურობდენ. ცნობილია, რომ ამ დელეგაციამ ნა-
ყოფიერად იმუშავა საქართველოს დამოუკიდებელი სახელმწიფოს
ცნობის საქმეში, რაც ადვილი არ იყო, რადგანაც გამარჯვებული
ანტანტის სახელმწიფოები, განსაკუთრებით ინგლისი და საფრან-
გეთი წინააღმდეგი იყვნენ რუსეთის იმპერიის დანაწილების, სანამ
დიდი სახელმწიფოები იურიდიულად გვიცნობდენ, მანამდე გვყავ-
დენ ფორმალური წარმომადგენლები, ხოლო ცნობის შემდეგ—სრულ-
უფლებიანი წარმომადგენლები, ამრიგად დამოუკიდებელი საქართვე-
ლოს ელჩები იყვნენ: არგენტინაში ანდრო დეკანოზიშვილი, იტალი-
აში—გიორგი მაჩაბელი, ბელგიაში—ანტონ ჟორჟოლიანი, შვეიცარი-
აში— ხარიტონ შავიშვილი, მოსკოვში პირველად იყო გერასიმე
მახარაძე (დახვრეტილი 1937 წ.), შემდეგ გაბო ხუნდაძე, ანგორაში
სვიმონ მდივანი, ინგლისში—დავით ღამბაშიძე და სხვა. რაც შეეხე-
ბა საფრანგეთს, ევგენი გეგეჭკორმა, რომელიც მაშინ საქ. საგა-
რეო მინისტრი იყო, ინახულა მისი ფრანგი კოლეგა და უთხრა:
აკაკი ჩხენკელი რომ გამოგიგზავნოთ ელჩად, საწინააღმდეგო ხომ
არაფერი გექნებათო. არისტიდ ბრიანმა მიუგო: არა, პირიქით,
ჩვენთვის მისაღებიაო. თურმე მოკავშირეები იქერდენ აკ. ჩხენკე-
ლის დებეშებს, როცა ის ბერლინში იყო და აქედან მათ კარგი
წარმოდგენა ჰქონდათ მასზე. აკაკი ჩხენკელმა თავისი ელჩობის
სიგელი პრეზიდენტ მილერანს ელიზეს სასახლეში გადასცა 1921
წლის 22 თებერვალს, როცა ლენინის რუსეთის ჯარებს გააფთრე-
ბული იერიშები მიჰქონდათ ჩვენს დედაქალაქზე.

აკაკი ჩხენკელის დიპლომატიური და საზოგადო მოღვაწეობა
ჩვენს ქვეყნის დაპყრობის შემდეგაც დიდხანს გაგრძელდა. ცნობი-
ლია ყველასაგან, რომ ქართული ლეგაცია საფრანგეთში 1933 წლა-
მდე არსებობდა. ეს იყო მსოფლიოში ერთადერთი ოფიციალური
ქართული დაწესებულება, აკაკის კარგად ესმოდა მისი მნიშვნე-
ლობა და დიდი პასუხისმგებლობითაც საქმიანობდა. მისი ხანგრ-
ძლივი მოღვაწეობის აღწერას ერთი დიდი წიგნი არ ეყოფა მა-
გრამ მე იძულებული ვარ აქ შევამოკლო.

მე ბენდიერება მქონდა წლების განმავლობაში ჩვენ პარიზის
ლეგაციაში მემუშავნა აკაკი ჩხენკელის ხელქვეით, და მინდა ჩემი
მადლიერების ნიშნად საუკუნო კეთილი ხსოვნა მივავო. აკაკი
იყო მომთხოვი და ამავე დროს გულისხმიერი უფროსი. მასთან მე
სამსახურებლივი დამოკიდებულების გარდა, უღრმესი პატივისცე-



მა და გულითადი მეგობრობა მაკავშირებდა. ამ კეთილშობილური გრძნობებითაა გაელენთილი, განსვენებულისაგან ჩემთვის მული წერილობითი მოწმობა, რომელსაც მე მუდამ სათუთად ვინახავ: „მე მსიამოვნებს ესცნო დიდი ღირსებანი

ბატონ ჩუბინიძე ვალიკოსი, კაცი სანდო ლეგაციისა, რომელსაც ის მსახურებდა და იცავდა ისეთ შეუპოვრობით ყველივეს წინა-აღმდეგ რამოდენიმე წლების განმავლობაში.

მან დაამტკიცა სამაგალითო თავდადება, ხანაში რომელიც იმდენათ ძნელი შეიქნა ლეგაციისათვის. მისი პატრიოტიზმი არის ცხოველი და სულდგმულებს სრული უნაგარებთ.

მე მსურს პატივი ვსდო ამ დიდი ღირებულების და მაღალი სინიღისის კაცს, და ვიმედოვნებ რომ ის ჰპოებს ღირსეულ ჯილდოს იმ მიზნის გამარჯვებაში, რომელსაც ის მსახურებს მთელი თავისი სულით.

პარიზი, 25 ივნისი 1933'

ხელს აწერს: საგანგებო წარმომადგენელი, სრულუფლებიანი მინისტრი, აკ. ჩხენკელი.

დასასრულს, მინდა ისიც აღვნიშნო, რომ თუ აკაკი ჩხენკელმა ამდენხანს იცოცხლა, ეს იყო მისი მეუღლის ქალბატონ მაკრინეს დამსახურება. იგი შესანიშნავი დიასახლისი და მართლაც უღლის გამწევი მეუღლე იყო, ღმერთსა ვთხოვ ორთავეს საუკუნო სასუფეველი დაუმკვიდროს.

ვალიკო ჩუბინიძე

პარიზი, მარტი 1984 წელი

(შეც. გასწორება: „გუშავის“ №1-ში, შეცდომით წერია შესავალში, „მისი დაბადებიდან 100“. რა თქმა უნდა, უნდა იყოს 110.)

სამგლოვიარო განცხადებები და უკანასკნელი გამოსათხოვრები

შოთა ქურციკიძის გარდაცვალება:

ა.წ. 29 ივნისს, ქ. სოშოში(ღუბის დებ. საფ.) სადაც ის დიდი ხანია, რაც ცხოვრობდა, უეცრად, ბურთის თამაშის დროს, გარდაიცვალა შოთა ქურციკიძე და იქვე იქნა დაკრძალული, თანამემამულეთა გვერდით.

განსვენებული 65 წლის იყო, უკანასკნელ



მსოფლიო ომის შემდეგ დარჩენილი საფრანგეთში; იყო მეტად ცუ-
ლტურული და შეგნებული მამულიშვილი; 1950-ან წლებში, როცა
ის პარიზში ცხოვრობდა აქტიურად მონაწილეობდა ჩვენი კოლო-
ნიის საერთო ცხოვრებაში, იყო აქტიური წევრი „ახალთაობის დე-
მოკრატიული ორგანიზაციის“ და უძღვებოდა წარმატებით ამ ორ-
განიზაციის საშემამატო კლუბს. შოთა ერთგული დარჩა მისი იდე-
ალების, რომლებიც სამშობლოს თავისუფლებით და წინსვლა-წარმა-
ტებით საზრდოობდა. საუკუნო იყოს ხსენება მისი!

მწუხარებით ვაუწყებთ ქალბატონ თამარ დოდუსენკოს, დაბ. მე-
გრელიძეს გარდაცვალებას პარიზში, ა. წ. 4 მაისს დაიკრძალა ქ.
სენ-ჟენევიევ დუ ბუას რუსულ სასაფლაოზე. ღრმად დამწუხრე-
ბულ სამძიმარს ვუცხადებთ მის უნუგემო ქირისუფლებს.


ს ა დ ა უ რ ს ა ს ა დ წ ა ი ყ ვ ა ნ ს ?

მატერიალისტურ ხანაში ვცხოვრობთ და
დღევანდელ ადამიანს ჭონებით ან თანამდე-
ბობით აფასებენ, მიშა გაფრინდაშვილს არც
ერთი არ ჰქონებია, მაგრამ ის ამ ორივე
სახის მოვლენაზე მაღლა იდგა, გაცილებით!

მეტად თავმდაბალი, პატიოსნებით შემკუ-
ლი, ტანით პატარა, მაგრამ მის ფართო და
ბრგე. მკერდის ქვეშ ფეთქავდა ყელსათვის
პატივსაცემი დიდი გული, სპეტაკი ბუნება,
იყო ნამდვილი ქართველი კაცობის განსახიე-
რება და ამავე ნიშნებს ეძებდა თითოეულ მის თანამემამულეში.
ის ყველას ხიბლავდა ბუნებრივი სიკეთით და ძალდაუტანებელი სი-
სადავით. ალალი სულის პატრონს, სხვა კეთილშობილ თვისებებ-
თან ერთად, ახასიათებდა უაღრესი პრინციპულობა, შერჩა ჭაბუ-
კობიდან არჩეულ პოლიტიკურ მიმდინარეობას;

მიშამ კარგი და ერთგული მეგობრობა იცოდა და რომელი თვი-
სება კიდევ უნდა ჩამოვთვალო, რომ ის მკითხველმა გაიცნოს.

ის უკანასკნელ წლებში ემიგრაციისაგან შორს, საფრანგეთის
ერთ მყდრო კუთხეში ბედნიერ და უხმაურო ცხოვრებას ეწეო-
და, სრულიად კმაყოფილი ოჯახური სითბოთი და მხოლოდ მაშინ





ჩამოდიოდა პარიზში მეგობრების სანახავად, როცა ისე ლობას ველარ იტანდა.

საუბარში მიშა სიტყვაძუნწობდა, უდიდესი პასუხისმგებლობის გრძნობა კი ახასიათებდა, რითაც ემიგრაციაში დიდი პატივისცემა და სიყვარული ჰქონდა დამსახურებული.

ფიქრი და გრძნობა და თვით სიცოცხლე მისი ჩვენს ერს ეკუთვნოდა, მიშამ არ იცოდა უკანდახევა, და თუ გერმანია-რუსეთის ომის დროს მას ჩვენს რიგებში ვერ ვხედავდით, ეს იმიტომ, რომ მან ძალიან გვიან გაიგო ქართველ მოხალისეთა ლეგიონის შედგენა.

ქართველი უცხოეთში სიკვდილს ვერ ურიგდება, მიშაც ასე იყო, ის ჯანმრთელ შთაბეჭდილებას სტოვებდა და მისი სიცოცხლის აზრი-საქართველო რომ ერთხელ მაინც არ ენახა, თავისუფალ საქართველოს მიწაზე ფეხი არ დაედგა, ისე უღმობელ სკვდილს გაუბრობდა, მაგრამ იგი მოულოდნელად დააცხრა თავზე.

დაგვარგეთ ღირსეული მამულიშვილი! მისი ხსოვნა წარუშლელი დარჩება მის მეგობარ-ამხანაგებში. აქ ყველას უყვარდი, მანდაც საპატიო ადგილს მოგიჩნევენ წმინდანივით სუფთა სულის პატრონს.

დავით ვაშაძე

მ ი შ ა გ ო ც ი რ ი ძ ი ს ნ ა თ ე ლ ი ხ ს ო ვ ნ ი ს ა

გასულ წლის 28 სექტემბერს დამწუხრებულმა ძმამ, ძმიშვილმა, თანამემამულე თუ უცხოელმა მეგობრებმა ლევილის მიწას მივაბარეთ ჩვენი საზოგადოების ერთ-ერთი ხანდაზმული, პატივცემული და საყვარელი წევრი, ბატონი მიშა გოცირიძე

მიშა დაიბადა კულტურულ და დიდ პატიოტ ოჯახში. მამამისი იყო ექიმი. თვითონ მიშა საინჟინროდ ემზადებოდა, მაგრამ ინსტიტუტის დამთავრებამდე პირველი მსოფლიო ომი დაიწყო, მიშამ სამხედრო სასწავლებელი დაამთავრა და ინჟინრის მაგივრად ოფიცერი გამოვიდა და დამოუკიდებელ სამშობლოს ემსახურებოდა როგორც საჯავშნო ნაწილების ოფიცერი.

მ. გოცირიძემ სამშობლო დასტოვა მტრისაგან მისი ოკუპაციისთანვე. ერთხანს ის ოსმალეთში ცხოვრობდა, შემდეგ კი საბოლოოდ სატრანსკავკასიურ რაიონში გადასახლდა, სადაც მუდმივი მუყათით შრომით სიმდიდრე არ შეუქენია, მაგრამ საკმაოდ შეძლებულად ცხოვრობდა. თუმცა არასოდეს არ უფიქრია, რომ უცხოეთში დაოჯახებულიყო.

ბატონი მიშა ერთგული და გამტანი მეგობარი გახლდათ, პატიოსნება, წესიერება და ზრდილობა მისი შინაგანი მოთხოვნებია იყო, ხოლო გამბედაობა-ვაჟკაცობა ხშირად თავზეხელაღებულებამდე მიდიოდა, რასაც, ვფიქრობ, კარგად გვიჩვენებს ერთი მისი თავგადასავალი: ამ 2 თუ 3 წლის წინ, ბატონ მიშას ღამით მეტროში ჯიბგირებმა გაქურდვა მოუხდომეს. მიშამ გაუგო და ერთ მათგანს ხელი მაგრათ ჩაავლო. ქურდი ახალგაზრდა და ღონიერი იყო, თავი რომ გაენთავისუფლებია დაუწყო ცემა თავში, სახეში და ყველგან, მაგრამ არა და არა! მიშამ ქურდს ხელი



არ უშვა. ბოლოს და ბოლოს, ვიღაცამ პოლიციას შეატყობინა და ქურდი და დაზარალებული ორივე კომისარიატში მიიყვანეს. კომისარმა, რომ მოხუცი მიშა დაინახა, გაოცდა და უთხრა: ბატონო, ასეთ შემთხვევაში უნდა თავი დაანებოთ! დე, ფული წაიღოს! ხომ შეძლებოდა რომ მოეკალითო. „ბატონო, მიუგო მიშამ კომისარს, არ შემძლია! მე ყოფილი მხედარი ვარ, თუ დავინახე, ქურდს ქურდობას ვერ შევარჩენ“-ო.

1982 წლის 22 ნოემბერს, ბრევენეზე მგლოვიარობის მიუხედავად, საბჭოთა ხელისუფლება პარიზშიაც დიდი ამბით ზეიმობდა სსრ კავშირის შექმნის სამოც წლისთავს. მისგან დაპყრობილ ხალხთა დევნილმა შვილებმა გადაწყვიტეს პარიზის ცენტრში ერთად გამოსვლით, საბჭოების ყოყობა ცოტა მაინც შეენელებიათ. შეკრება დანიშნული იყო „რონ-პუან შან-ზელიზეს“ ერთ-ერთ კუთხეში.

პარიზისთვის უჩვეულო სიცივე იყო და თოვლიც ბარდნიდა. საღამოს 8 საათია, ელნათურების შუქზე ვხედავ: ახოვან, ბეჭებში ოდნავ მოხრილ მოხუცს მხრებზე ჩვენი სამფეროვანი ღრწა გაუდევს და გულგაგულ მოაბიჯებს, —ეს გახლდათ ბატონი მიშა გოცირიძე. ელისეს მინდვრებზე ჩვენმა მსგელობამ გვიან ნაშუალამეამდე გასტანა, სიცივე და თოვა კი სულ უფრო ძლიერდებოდა. ვიფიქრე: ცოდვა არაა ეს მოხუცი აქ გაცივდეს და მოკვდეს! ვეუბნები: ბატონო მიშა, გეყოფათ ახლა, არ გაცივდეთ, მომეცით ეგ ღროშა და თქვენ წაბრძანდით სახლში-თქვა. თქვენც არ მო-

მიკვდეთ! —არაო, მტკიცედ მითხრა, ბოლომდე უნდა დავაძლავო
 თუ მოგვკვდები ჯანაც გამვარდნიაო...

ახლა კი საბოლოოდ წავიდა ჩვენგან, ესეც თითქოს მისი მოქალაქეობრივი მოვალეობა იყო. არავენ არ შეეუწუხებია, მოხუცი უეცრად გარდაიცვალა. წავიდა და საბრძოლო დროშა მის მომყოლ თაობებს დაუტოვა, ბრძოლის გასაგრძელებლად და გამარჯვებით დასაგვირგვინებლად.

საუკუნო იყოს ხსენება მისი!

მრწემი მეგობარი

გ უ შ ა გ ის ფ ო ნ დ ი (ფრანგულ ფრანკებში)

ანემარი და დავით ვაშაძე—მიზა გაფრინდაშვილის	
მოსაგონებლად —	500,00
გიორგი იმერიძე	500,00
მზია და სერგო დონდუა	100,00
სანდრო ფანჩულიძე	200,00
თამარ ლალიძე	50,00
პროკოფი ინწყირველი	100,00
ნიკო ბედელაძე	100,00
ნიკოლა ანთაძე	200,00
ნამეტია გოგუაძისა	150,00
ირაკლი ოთხმეზურია	148,00
ტიტიკო ჩხეიძე	226,00
დავით ბებიაშვილი	780,00
ანემარი და დავით ვაშაძე	350,00
პავლე ვაშაძე	300,00
თამარ მუსხელიშვილი	200,00

ჯ ა მ ი

3904,00

უკანასკნელი ცნობით, ა. წ. 13 მაისს უძლიერეს აფეთქებებს ჰქნდა ადგლი სსრკ სევერომორსკის სამხედრო საწყობებში. 200 კაცამდე დაიღუპა, ამდენივე დაშავდა, ხოლო ყოველი სახის იარაღის ზარალი ისე დიდია, რომ 2-3 წელი დასჭირდება იგივე მარაგის დაგროვებისთვისო, ნათქვამია ყოველკვირეულ "Jane's Weekly"-ს უკანასკნელ ნომერში. როგორც ირკვევა, ასეთი აფეთქებები ხანგამოშევით ხდება თურმე სსრკ სხვადასხვა სამხედრო ობიექტებში.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ნ ო მ რ ი ს შ ი ნ ა ა რ ს ი

- .1 დ ი დ ე ბ ა – 26 მაისის საქართველოს ჰიმნი
- .2 ჩვენი ეროვნული დღესასწაული – გუშაგი
- .7 ფრიდრიხ ჰაეკის წიგნი:
„გზა მონობისაკენ“ – გიორგი ჩხუბიანიშვილი
- .12 ჩოლოქის ხილთან–გამოუქ. ლექსი– † ვალოდია გოგუაძე
დიდ თამარს– ლექსი– სოსო ჟორჟოლიანი
- .13 რას წარმოადგენს დემოკრატია – გურამ გელოვანი
- .15 ორი ლექსი – ჟორჟიკა ფაშალიშვილი
- .18 რუსეთის ნდობა არ შეიძლება– დავით ვაშაძე
- .23 ს ა მ შ ო ბ ლ ო –ლექსი – გიორგი ტოგონიძე
ლეო ქიაჩელის მოსაგონარი – ალექო ლორია
- .26 მ ე გ ო ბ ა რ ს –ლექსი– როზა აბნერაშვილი
- .27 ექ. თაყიშვილის 120 წლ –სთვის გიორგი წერეთელი
- .30 ჩემი მამული –ლექსი– დიმიტრი ქიმერიძე
- .31 მიმართვა საფრანგეთის პრეზიდენტს– თამაზ ნასყიდაშვილი
- .34 კავებებს ანკესები – გუშაგი
- .35 თვითგამოცემის ახალი მასალები საქართველოდან:
„საქ.-ს დამოუკიდებლობის“ ორგანიზაციის ლიდ. გასამართლება
- .40 6 ქართველის წერილი ანდროპოვს, ტიხონოვს, „იზვესტიას“...
.48 ზვიად გამსახურდიას განცხადება პრესისადმი
- .48 26 მაისობა პარიზში – ეთერი შენგელია
- .50 ვაზეთი „ლე მონდ“-ი ჩერნეცოს ჯანმრთელობაზე პაპუნა ლუბაშვილი
- .52 დასავლეთ - აღმოსავლეთი – ვალეკო ჩუბინიძე
- .55 აკაკი ჩხენკელი: დაბ. 110 წლ–თავი ვალეკო ჩუბინიძე
- .59 ს ა მ გ ლ ო ვ ი ა რ ო:
შოთა ქურციკიძის გარდაცვალება
თამარ დოდუშენკოს გარდაცვალება
- .60 სადაურსა სად წაიყვან– დავით ვაშაძე
(მიშა გაფრინდაშვილის გამოსათხოვარი)– მრწემი მეგობარი
- .61 მიშა გოცირიძის ნათელი ხსოვნისა – მრწემი მეგობარი
- .63 გუშაგის ფონდი

0 26/13



GOUCHAGUI

PERIODIQUE EN LANGUE GEORGIENNE

Directeur : GEORGES TSERETELI

ADRESSE: 8, RUE DES MARCHAIS

75019 PARIS

EDITON HORS COMMERCE